№ 120
კვირა, 17 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 120
კვირა, 17 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად. **ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5. **საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ქვრივი ნატალია ოქროს ასული თეთრაძისა შვილებითურთ და **ექიმი კონსტანტინე ივანეს ძე გძელიშვილი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 14 ივლისს, საღამოს 9 საათზე ვერაგულად მოკლულ იქმნა

ნიკოლოოზ აბრამის ძე თეთრაძე

პირველის—მეუღლე, მეორეების—მამა და მესამის—სიმამრი. პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე. ცხედარს გაასვენებენ სამშაბათს, 19 ივლისს, დილის 10 საათზე, ამაღლების ეკლესიაში. (1—1)

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—6)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჰ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

სახალხო განათლება და ჩვენი მოქმედება

გასულ საუკუნეს იმდენად დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ისტორიაში, რომ იმას ბევრი სხვადასხვა სახელი უწოდეს. მას ეძახიან მუშების საუკუნეს, ბუნებისმეტყველების საუკუნეს, ელექტრონის საუკუნეს და სხვ.; საერთოდ ამ საუკუნეში იმდენი განძი შეიძინა კაცობრიობამ, ისეთი დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, რომ იგი კაცობრიობის მთელ წარსულს შეგვიძლიან დავუპირდაპიროთ. გასულ საუკუნეს, მრავალ სხვა სახელთა შორის, სახალხო განათლების საუკუნეც შეიძლება ვუწოდოთ.

ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს სახალხო განათლების ისტორიას, ეცოდინება, რომ განათლების საქმეს ბევრი მტერი ჰყავდა. საზოგადოდ გაბატონებული კლასები ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ ხალხში განათლების გავრცელების საქმეს. არ შეიძლება ვილაპარაკოთ სახალხო განათლების შესახებ ძველ დროში, როცა მონობა არსებობდა და მონა უბრალო ცხოველს წარმოადგენდა. იგივე ითქმის საშუალო საუკუნეების შესახებაც,—ბატონყმობის დროზე: ბატონი ყმას ღორის მწყემსობას თუ აღირსებდა, თორემ უკეთესს—არაფერს. ამნაირად, კაცობრიობის დიდი უმეტესობა იმ დროს მოკლებული იყო სწავლა-განათლებას. უმეცრების ფარდა და წყვდიადი ჰქონდა გადაფარებული ბარბაროსობის ხანას.

საქმის ასეთი ვითარება სავსებით შეეფერებოდა მაშინდელ წარმოების წესს. საშუალო საუკუნეთა ეპოქა, როცა წარმოებას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, არ მოითხოვდა მწარმოებლის განათლებას, ცოდნას. აქ ყველაფერი პრიმიტიული იყო, როგორც წარმოების იარაღი, ისე დამუშავების წესიც..

მხოლოდ ახალი, ბურჟუაზიული ხანა ავითარებს განათლების საქმეს. ბურჟუაზიისათვის ხალხის განათლება საჭირო საშუალებაა წარმოების ასაღორძინებლად. იგი კონკურენციის, ანუ მეტოქეობის, კანონმა გახადა აუცილებელ საშუალებად. დღეს ერთის სახელმწიფოს ბურჟუაზია მეორეს ეჯიბრება განათლების საქმეში, ერთი სახელმწიფო ცდილობს მეორეს გაუსწროს. აქ იგივე ხდება, რაც ბევრ სხვა საქმეში: ბურჟუაზია თვითონ აძლიერებს განათლებას, სახალხო შეგნებას, და ამით ებრძვის თავისსავე არსებობას, ამით აძლიერებს მისსავე წინააღმდეგ მიმართულ ძალას.

ასეა თუ ისე,—ყოველ შემთხვევაში, თუ წინად სახალხო განათლების გავრცელებას ბევრი მტერი ჰყავდა, დღეს ძნელად თუ ვინმე გაბედავს ცხადად მის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. საზოგადო აზრად, უცილობელ ჭეშმარიტებად შეიქმნა სახალხო განათლების საყოველთაო გავრცელების საჭიროება და სარგებლობა. დემოკრატიამ გამოაცხადა,—დაწყებითი განათლება სავალდებულო უნდა იყოსო. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლები, თუ მათი მოადგილე მზრუნველები მცირე-წლოვანთა, ვალდებულნი არიან ბავშვები უსათუოდ ატარონ სასწავლებელში. ამ კანონის შეუსრულებლობისათვის მათ შესაფერი სასჯელი მოელით. ამნაირად, ვალდებულობა აქ ნიშნავს ძალდატანებას: საზოგადოება ძალდატანებით ახორციელებინებს საყოველთაო სახალხო განათლების პრინციპს.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება.

როგორც ვიცით, დღევანდელი სახელმწიფო ბურჟუაზიულია; მაშასადამე, მთავრობაც თავის მოქმედებით არსებითად ბურჟუაზიულია. ხოლო როცა ბურჟუაზია საყოველთაო განათლების პრინციპს ანხორციელებს, იგი იმავე დროს ცდილობს ეს განათლება, რაც შეიძლება, თავის ინტერესებს ამსახუროს,—ისე მოაწყოს სწავლა-აღზრდის საქმე, რომ ახალთაობა ბურჟუაზიულ წესზე მოითელოს და გაბატონებულთა ინტერესებს ემსახუროს. ასეთი ტენდენცია აღზრდაში ორის მხრივ გამომჟღავნდება. პირველი,—სწავლების მასალა და ორგანიზაცია ბურჟუაზიულია, მაშასადამე, იგი მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ, როგორც შინაარსით, ისე მოწყობით. მეორე,—გაბატონებულ ხალხის ბურჟუაზია სდევნის დამოკიდებულ ხალხის ენას, ცდილობს მის მოსპობას, გაქრობას. ამით ის სჩადის ძალმომრეობას, სისტემატიურ ბარბაროსობას, რაც, როგორც ეროვნულ, ისე დემოკრატიულ პრინციპს ეწინააღმდეგება. ბურჟუაზიამ დაწყებითი სწავლება სავალდებულოდ გამოაცხადა, მაგრამ იმავე დროს მან ჩაიგდო ხელში სწავლების მონოპოლია, შეადგინა სავალდებულო პროგრამები, შექმნა სავალდებულო წესები, რომელიც ყველასათვის უცვლელად სავალდებულოა.

აქედან ცხადია, დემოკრატია იძულებულია ეცადოს ჩამოართვას ბურჟუაზიას აღზრდის საქმეში მონოპოლია და ამით მოუსპოს მას მოზარდთაობის თავის გეგმაზე მოთელვის, გადამახინჯების საშუალება. სკოლის განთავისუფლება ბურჟუაზიულ მთავრობის ბატონობისაგან ნიშნავს ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობას სკოლაში, მშობლიურ ენის გამეფებას და იმავე დროს სკოლის დემოკრატიულ პრინციპზე მოწყობას, როგორც შინაარსით, ისე მთელის ორგანიზაციით.

ამნაირად, დემოკრატიამ უნდა ჩამოართვას ბურჟუაზიის განათლების საქმე. ამის მიღწევა შეიძლება ორის გზით.

პირველი გზა არის პირდაპირი და უფრო ნამდვილი: დემოკრატია ამყარებს დემოკრატიულ წყობილებას, რასაკვირველია, მაშინ აღზრდის საქმეც ძირიანფესვიანად შეიცვლება.

არის მეორე გზაც, ასე ვთქვათ, ევოლუციონური, რომელსაც იმავე მიზნისკენ მივყევართ. სახელმწიფო ძალის განვითარების ისტორიას რომ დავუკვირდეთ, ჩვენ ერთ მოვლენას შევნიშნავთ: სახელმწიფო ძალა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე თვითმპყრობელია, ის ბატონობს არა მარტო წარმოებისა და აღებმიცემობის საქმეში, არამედ გონებრივ და სარწმუნოებრივ საქმეებშიაც. მაგრამ მისს ბატონობას ბოლოს საზღვარი ეძლევა: დაჩაგრული ელემენტები თანდათან ერთიანდებიან და საერთო ძალ-ღონით იბრძვიან თავის ვინაობის დასაცველად და საარსებო პირობების მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში თანდათან დემოკრატია იმარჯვებს. ეს გამარჯვება ნიშნავს სახელმწიფო ძალის შესუსტებას, მისი გავლენის ფარგლის შევიწროებას. მაგალითად, უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში სრულიად გამოირიცხა სახელმწიფოს სამფარველო და საზრუნველო საქმეთა რიცხვიდან სარწმუნოება. ეს ნიშნავს სარწმუნოებრივ თავისუფლებას, ესე იგი, ვისაც როგორ უნდა, ისე იწამებს და იმ სარწმუნოებას აირჩევს,—ძალას ვერავინ დაატანს. ეს მოვლენა შედეგია არა ნებაყოფლობით დათმობისა, არამედ საუკუნეების განმავლობაში გამართულ ბრძოლისა: ვინ იცის, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი ტანჯვა-წვალება გამოიარა კაცობრიობამ, სანამ სარწმუნოებრივ თავისუფლებას მოიპოვებდა.

თქმა არ უნდა, აღზრდის საქმეშიაც სახელმწიფო ნება-ყოფლობით არ დაუთმობს დემოკრატიას თავის უფლებებს და საზოგადოებრივ აღზრდის პრივილეგიაზე ხელს არ აიღებს. მაშ აქაც ჩვეულებრივი გზაა საჭირო: საზოგადოებრივი ბრძოლა. ცხადზე უცხადესია, რომ აქაც დემოკრატია გაიმარჯვებს, რადგან საბოლოოდ ყოველთვის მომავალი იდეალების მატარებელი იმარჯვებს წარსულის მოტრფიალეებზე. რასაკვირველია, ამ გზით ბრძოლა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ პირველი გზა უნდა უარვყოთ. პირიქით, ეს ერთისა და იმავე მიზნისკენ მსვლელობაა. ყველამ კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. ძველ წყობილების დანგრევასთან ერთად საზოგადოება ადგია გაძლიერებულ შემოქმედებით გზას. იგი არა მარტო ძველს იწუნებს, უარჰყოფს, ებრძვის და ანგრევს,—იგი ახალსაც ჰქმნის, ახალ ცხოვრებას ნიადაგს უმზადებს. საზოგადოებრივი შემოქმედებითი ძალა შეეხო აღზრდის საქმესაც. ხალხი ცდილობს სკოლაც მოაწყოს ახალ ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად.

რომ ვამბობ „ხალხი", რასაკვირველია, არ ვგულისხმობ ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც განათლებულ და ჭკუიან კაცად მხოლოდ იმას სთვლის, ვისაც უცხო ენაზე კარგი გამოთქმა აქვს. ამათგან სიკეთეს ნურავინ მოელის. მე სახეში მყავს ნამდვილი ხალხი,—დემოს. თუმცა სახელმწიფო ძალის მუდმივი მიდრეკილება მხოლოდ თავის ავტორიტეტის გაბატონებაში გამოიხატება, მაგრამ იგი სავსებით ამ ბატონობას ვერ ანხორციელებს. რამდენადაც დაბეჩავებული ელემენტი ძლიერდება შეგნებით, იმდენად აბსოლუტიზმის ბატონობის ძალა სუსტდება. გაბატონებული ძალა ხშირად კომპრომისების გზას ადგება, ცოტას უთმობს დაჩაგრულთ, რომ ამ „მსხვერპლით" ბევრი შეინარჩუნოს.

დღემდის ჩვენი სახალხო სკოლები ადამიანის დამტანჯველი და დამამცირებელი დაწესებულება იყო. ჩვენს შვილებს უყურებდნენ არა როგორც თანასწორ ადამიანებს, არამედ როგორც ბრიყვ მონებს, რომელთა დაცინვა და დამცირება ყოველ ვიგინდარას შეეძლო. დღეს რაღასაც გვითმობენ. მცირედი საკენკი ჩვენკენაც გადმოისროლეს, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ხალხი ამით დაკმაყოფილდეს. ხალხი ამ საქმეშიაც თავის შემოქმედებას გამოამჟღავნებს და ეცდება, ახალთაობის აღზრდის საქმეს თვითონ, დამოუკიდებლად გაუძღვეს...

პეტრე სურგულაძე.

ახალი ხანა ქართულ თეატრის ცხოვრებაში

როგორც მოსალოდნელი იყო, დრამატიულ საზოგადოების ახალმა გამგეობამ, გაითვალისწინარა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა ქართველ მსახიობთა და ამის გამოისობით წარმომდგარი საცენო ხელოვნების დღითი-დღე დაქვეითება, სამართლიანად იფიქრა და გადასწყვიტა კიდეც, ბოლო მოეღო აქ არსებული წესრიგისათვის ქართული სეზონის წარმოებაში, და ახალს გზას დაადგა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად დაუდგენია ქართულ დრამატიულ დასის წლიურად შენახვა და, რა თქმა უნდა, ამასთან ქართველ მსახიობთა შრომა-მოვალეობის ახალს პირობებში ჩაყენება.

ჩვენ, სიამოვნებით აღვნიშნავთ რა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ ამ დიდის ხნით მომწიფებულ საკითხის გადაწყვეტას, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ, ვისაც ჯერ არს, იმ გარემოებაზე, რაიც ნახსენები გვქონდა წინა წერილშიაც: ამ ახალ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა, პირველ ხანებში მაინც, ორთავე მხარემ—დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ და მსახიობთა კრებულმა,—ერთმანეთს ცოტა რამ დაუთმონ, რადგან ურთიერთის დაუთმობლად და დაუხმარებლად ვერც ეგ ახალი საქმე გაკეთდება და, თუ გაკეთდა კიდეც, ბოლო არ გამოყვება. ისევ ისა სჯობიან, მსახიობთა წლიურად შენახვის საქმე კიდევ ორის-სამის წლით დაგვიანდეს, ოღონდ მკვიდრად იქმნას იგი დაყენებული, ვიდრე აჩქარებით დაწყებულ იქმნეს და, როგორც ყოველივე აჩქარებული და გაუთვალისწინებელი, პირველ წლიდანვე წაბორძიკდეს.

ამისათვის თავდაპირველად საჭიროა, რომ წლიურად დასის შენახვის ხარჯი ისეთი მძიმე არ იყოს, რომ მისი ატანა დრამატიულმა საზოგადოებამ ვერ შესძლოს. სრულებით არ შეადგენს აუცილებელ საჭიროებას, რომ მაინცდამაინც ამ თავითვე ყველა მსახიობნი წლიურ დასში იქმნენ ჩარიცხულნი. ჯერ ხანად საკმარისი იქმნება, რამდენიმე კაცი და ქალი იქმნას მიღებული წლიურად, მეორე წელს კიდევ მიიღებენ რამდენსამე და ამრიგად სამის-ოთხის წლის განმავლობაში დასი ნელ-ნელა და დრამატიულ საზოგადოების კასის შეუსუსტებლად სეზონის ჯგუფიდან წლიურზე გადავა.

ამავე დროს დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ყოველივე ღონე უნდა იღონოს, რომ თავისი სათეატრო თანხა გააძლიეროს და გაამრავლოს სხვადასხვა სავალდებულო საქველ-მოქმედო წყაროებიდან, რათა პირნათლად და ღირსეულად შესძლოს ქართველ საზოგადოებისა და ეროვნულ თეატრის წინაშე ახლად ნაკისრ მძიმე და რთულ საქმის საშვილიშვილოდ დაგვირგვინება...

სცენის მოყვარე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 ივლისი.

მოსკოვი, 14 ივლისი. უკანასკნელ დღეებში გამოირკვა, რომ ხალხი დამნაშავეთ თვითონ ასამართლებს ხოლმე. ამ რამდენისამე დღის წინად ბრბომ რიაზანის სადგურთან ქურდები დასაჯა, გუშინ კი საშინლად სცემეს ერთ კაცს, რომელმაც ახალგაზდა ქალს შეურაცხყოფა მიაყენა. დღეს, საღამოთი, სან-გალის მუშები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ქურდებს ეძებდნენ. ბრბო თავის თავს წესიერების დამცველს ეძახდა.

კიშინევი, 14 ივლისი. 10 ივლისს, ბელეცკის მაზრაში, სოფ. რიშკანოვკაში, ებრაელები აიკლეს.

ბელგრადი, 15 ივლისი. ძველ-სერბიაში სერბიელების მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება; არნაუტების და ოსმალების ავაზაკთა ბრბოები გაჩნდნენ. ოსმალეთის ადმინისტრაცია ენერგიულად არა სდევნის ავაზაკებს. ამ რამდენისამე დღის წინად ელექტრონის საზოგადოების მუშების გაფიცვა დასრულდა.

რეველი, 14 ივლისი. გემ „აზია"-თი მოვიდა საზღვაო მინისტრი ბირილიოვი. ბირილიოვს ესკადრა ზარბაზნის სროლით მიესალმა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 ივლისი. დღეს შუადღისას, მთავრობის წარმომადგენელთა და ვაჭართა თანადასწრებით, ოფიციალურად ბაზრობა დაიწყო. ბაირაღი აუშვეს.

პეშავერი, 15 ივლისი. ავღანისტანის ემირი ახლაც კაფირისტანში მოგზაურობს, მაგრამ მალე ქაბულს დაბრუნდება. ამ დღეებში ემირმა ხალხის წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა: საჭიროა სხვადასხვა ერების შეერთებაო. ამასთან ემირმა ერთს მოლლას სთხოვა, ხალხს რუსეთ-იაპონიის ომის ისტორია უამბეო. მოლლამ უამბო ხალხს ამ ომის ისტორია და შეადარა ორთავე სახელმწიფოს სივრცე და ხალხის რაოდენობა. სხვადასხვა ერების წარმომადგენლებმა დაიფიცეს, რომ უცხო სახელმწიფოებთან ბრძოლის დროს ემირს მოეხმარებიან.

სუეცი, 15 ივლისი. კრეისერი „კუბან"-ი მოვიდა.

ჟიტომირი, 15 ივლისი. გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ ბოქაულის კუიაროვის მკვლელი სიდორუკი სამხედრო სამართალში მიეცეს.

ქრისტიანია, 15 ივლისი. მთავრობამ შვეციასთან კავშირის გაწყვეტის საკითხის გადასაწყვეტად ხალხის მიერ ხმის მიცემით პარლამენტში კანონის პროექტი შეიტანა. კენჭის ყრა 31 ივლისს, 1 საათზე, მოხდება.

ბაზელი, 15 ივლისი. სიონისტების კონგრესის პრეზიდენტად მაქს ნორდაუ აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად—ვოლფსონი, მარმორეკი, კოგენი, ბერნშტეინი და მონტეფიორი. ნორდაუმ წარმოთქმულს სიტყვაში აღნიშნა, რომ საჭიროა სიონიზმის პოლიტიკურ იდეალის განხორციელებას ვესწრაფოდეთო.

შანხაი, 15 ივლისი. კანტონ-ხანკოუს ლიანდაგის ამერიკელების კონცესია გააუქმეს. სამუშაო იაპონელებს გარდასცეს. იაპონიის კაპიტალისტებმა დიდი თანხა გადასდეს ამ საქმეზე.

პარიზი, 14 ივლისი. სულთნის მოკვლის განზრახვას, როგორც აუცილებელი შედეგი, ოსმალებისა, მაკედონელებისა და სომხების აუარებელ ხალხის დატუსაღება მოჰყვა. თუმცა უნაყოფოდ, ელჩებმა უსახელო მუქარის წერილები მიიღეს.

მოსკოვი, 15 ივლისი. დედათა საექიმო ინსტიტუტი მხოლოდ 1906 წ. შემოდგომაზე გაიხსნება. საგუბერნიო ერობას ნება დართო, რომ მოძრავ ქონების საერთიერთო დაზღვევა შემოიღოს.

მაკარია, 15 ივლისი. ბაზრობა დაიწყო. ძალიან ცოტა მოვაჭრეები დაესწრნენ, თუმცა ბაზრის უმთავრესი დუქნები დაჭერილია, მაგრამ მეტად ნაკლები მაღაზიებია გადებული.

დონის-როსტოვი, 15 ივლისი. რადგან 26 გუბერნიაში მოსავლის ნაკლებულობა იყო, განკარგულება მოახდინეს, რომ პურის ვაგონები აღნიშნულ დროს გარეშეც იგზავნებოდეს. შუამდგომლობა აღძრეს, რომ მოუსავლიან გუბერნიებში პურის გადასატან ფასის შედავათიანი ნიხრი დაწესდეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 ივლისი

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. იაპონიამ ამერიკის მთავრობას საიდუმლო დეპეშა გამოუგზავნა: ჩვენი დელეგატები პირველსავე სხდომაზე განუცხადებენ რუსებს ძირითად პირობებს და, თუ ეს პირობები რუსების მხრივ მისაღები არ გამოდგება, კრების გაგძელება უაზრო იქნება. აქ ჰფიქრობენ, რომ ეს პირობები შეეხება კონტრიბუციას, კაბაფუტოსი (სახალინის), ლიაოდუნის ნახევარკუნძულისა და ხარბინამდე რკინის გზის დათმობას, ვლადივოსტოკის ნეიტრალურ პორტად აღიარებას და კორეაში იაპონიის პროტექტორატის გამოცხადებასაო. თავისის მხრივ იაპონია პორტ-არტურზე ხელს აიღებსო.

ტოკიო, 15 ივლისი. იაპონელებმა კაბაფუტოზე (სახალინზე) სამპატიმროები დასწვეს. კუნძულზე მალე სამოქალაქო ადმინისტრაციას დააყენებენ. ტყვეებში ბევრი მაწანწალაა. 11 საათის ბრძოლის შემდეგ დირინთან, რუსებმა მარჯვედ გამოიყენეს მორების შენობებიო. აქედან გამოდევნილი რუსები ახლა ხიბინძის ტბასთან არიან, კორსაკოვსკის სამხრეთით. თან ტყვიის-მფრქვევი ზარბაზნები აქვთ. იაპონელებმა ლუჩუს კუნძულების მახლობლად გერმანიის გემი „ლიდია" შეიპყრეს.

ოსტერბეი, 15 ივლისი. ტაკაჰირას სიტყვით, კომურამ რუზველტი ინახულა და იმპერატორის მადლობა გადასცა, ზავის ჩამოსაგდებად თავგამოდებულ მეცადინეობისათვის. საუბრის საგანი კონფერენცია იყო. ტაკაჰირამ დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ პასუხის მიცემაზე უარი განაცხადა. ამბობენ, რომ რწმუნებულთა შეხვედრამდე, ე. ი. 23 ივლისამდე, ვიტტე ოფიციალურად სადარბაზოდ პრეზიდენტთან მივაო.

ხარბინი, 14 ივლისი. გუნჯულინიდან დაწყებული ხარბინამდე რკინის გზის პირას მინდვრები თითქმის ყველგან შემუშავებულია და დათესილი. მინდვრებში ურიცხვი ჩინელები მუშაობენ. გუნჯულინში 9 ივლისს დაიწყო წვიმა და განუწყვეტლივ მოდის. წვიმები ხარბინშიცაა. ალბად, წვიმების ხანა დადგა.

ტოკიო, 13 ივლისი. ტყვეების სიტყვით, ცუსიმასთან ბრძოლის შემდეგ, ვლადივოსტოკში ტუმენით მიმოსვლა კორეის ჩრდილოეთით სრუ-

ლიად შეწყვეტილია. რუსებს სურსათს აწვდიან ჩინურის ნავებით ხუიჩუნიდან.

ტოკიო, 14 ივლისი. ალექსანდროვის პოსტი იაპონელებმა დაიჭირეს მხოლოდ ხანგრძლივი და მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ. იაპონიის ჯარებმა 12 ივლისს დაიჭირეს დუე, რომლის განადგურება რუსებმა ვერ მოასწრეს. ტყვედ ჩაუვარდათ ოცი კაცი და სხვადასხვა სამხედრო მასალა. კორსაკოვსკის მიდამოებსა და ხიბინინის ტბასთან ორასამდე რუსი იაპონელებს მედგრად წინააღმდეგობას უწევს.

იოკოჰამა, 14 ივლისი. როგორც კი მანჯურიაში წვიმები გადაიღებს, დიდის ბრძოლის დაწყებას მოელიან. ზოგიერთების სიტყვით, იაპონიის ჯარი დაბანაკებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შემდეგის სახით: ნოგუ, ოკუ, ნოძუ, კუროკი და კავამურა. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი არმია, რომლის შესახებაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მოდიოდა, ეცდება ხარბინსა და ვლადივოსტოკს შუა რუსებს გზა გადაუჭრას. მანჯურიაში ამჟამად ოცს დივიზიაზე მეტი ჯარი იმყოფება.

სიტიაზა, 14 ივლისი. როგორც ამბობენ, სამხრეთიდან მოსული ჯარი თავს იყრის შახეძი-ნანჩენძის რაიონში, საიდანაც ნელა-ნელა აღმოსავლეთისაკენ მიდის. აქვე საჩქაროდ გადმოაქვთ ბრინჯი, ქერი და თივა. იაპონელთა შორის შავი ჭირი არ შეწყვეტილა, თუმცა ძალიან იკლო. დიდი წვიმები არ არის, გზებზე ჯერ სიარული შეიძლება.

ვლადივოსტოკი, 15 ივლისი. ციხეში მშვიდობიანობაა. სურსათი ბლომადაა.

ტოკიო, 15 ივლისი. მიკადომ რუზველტის ქალი დიდის პატივისცემით მიიღო. ტოკიელმა ვაჭრებმა და ბანკირებმა ტაფტსა და რუზველტის ქალს სადილი გაუმართეს.

პარიზი, 15 ივლისი. „დეილი-ტელეგრაფი"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ვიტტეს სესხის შესახებ საფრანგეთში რუვიესთან არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია; მისი მოვალეობაა მხოლოდ, მოელაპარაკოს მიკადოს წარმომადგენელს და, თუ შესაძლებელი იქნება, მტკიცე ზავი შეჰკრას. ფინანსიურ საკითხის შესახებ ვიტტეს არავითარი მინდობილება არა ჰქონია. ვიტტეს აზრით, არც ერთი ევროპაში მომხდარი ამბავი მოლაპარაკებაზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს; მოლაპარაკების შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წაიყვანს ამ მოლაპარაკებას იაპონიის რწმუნებული, და აგრეთვე მოხდება თუ არა ლაპარაკი იმ საზღვრებში, რომელსაც ვიტტეს ნება არა აქვს, რომ გადასცილდეს.

ოსტერბეი, 15 ივლისი. იაპონიის რწმუნებული კომურა და ელჩი ტაკახირა დღეს მოვიდნენ, პრეზიდენტთან ისაუბრეს და სალამოთი ნიუ-იორკში დაბრუნდნენ. კომურას და ტაკახირას ვიზიტს რუზველტთან იმითი ხსნიან, რომ ტოკიოდან დიდ-მნიშვნელოვანი ცნობები მოუვიდოდათო. იაპონია ფიქრობს, გერმანიის აზრმა რუსეთ-იაპონიის ზავის შესახებ შეიძლება მოლაპარაკებაზე გავლენა იქონიოსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

რად დამარცხდა რუსეთი? ამ კითხვის გამოსარკვევად ბევრი რამ იწერება რუსეთის გაზეთებში. ერთი სამხედრო პირი, სხვათა შორის, სწერს: თითქო გამხადებულნი, აბჯარ-ასხმულნი, ვაჟკაცობითა და სამხედრო ცოდნით შეჭურვილნი გავემართეთ შორეულ-აღმოსავლეთში იაპონიასთან საბრძოლველად, შევებით, შევებრძოლეთ, შევეჯიბრეთ, მაგრამ ათასობით დავსტოვეთ მეომარნი ბრძოლის ველზე, დავმარცხდით!

უცნაური მოვლენაა!.. სანამ ჩვენი პატარ პატარა რაზმები იაპონიის მცირე რაზმებს ეჯახებოდნენ, ჩვენა ვჯაბნიდით. როდესაც როტა-როტას ეხეთქებოდა—ჩვენ ვიმარჯვებდით. თუ ბატალიონები შეიბმოდნენ—არსაით არ იხსნებოდა გამარჯვება. დივიზიები დაირეოდნენ—ადრეულად უკან ვიწევდით. კორპუსები მოგვესეოდა—ნირი შეგვეშლებოდა. მთელი ჯარის იერიშის მოტანით დავთრები გვებნეოდა და დომხალივით აირეოდა ყველაფერი.

სჩანს, რომ პატარა კაცები, პატარა საქმეს პირნათლად უძღვებოდნენ, დიდი კაცები კი დიდს საქმეში ითაფებდნენ ხოლმე. სად ვეძებოთ ამის სათავე? რა არის ამის მიზეზი? სრული მოუმზადებლობა, სილაჩრე, საქმის წარმოება მხოლოდ ქაღალდზე. უმაღლეს გენერლების შორის შული და განხეთქილება, აი, სად არის დამარხული ძაღლის თავიო,—ამბობს ეს სამხედრო პირი. თუ კი სარდლები და უფროსები ასეთები გვყავს, სხვას რაღა მოვთხოვოთ?..

მშვიდობიან დროს ჩვენი უფროსების მთელი ყურადღება ოჯახურს საქმეებს უნდება. ყველაფერში დამზოგველობას იჩენენ: ჯარის-კაცთა საზრდოდანაც სცდილობენ მოანარჩუნონ რამე, ტანისამოსიდანაც, ასე გასინჯეთ ტყვია-წამლიდანაც კი. დაზოგვილის რაოდენობა ცალკე დავთარში ილინუსხება და ბოლოში უფროსის ხელთნაწერს წაიკითხავთ: „საქებურია, რომ შავის დღისთვის ჰზოგავთ ყველაფერსაო"... დამზოგველს ჩინები და წარმატება უღიმის. მაგრამ დადგა «შავი დღეც», იაპონიას ომი აუტეხეთ და ღირსეული ნაყოფიც აკი მოვიმკეთ ჩვენის დამზოგველობისა!... ვინ დაგიდევს, თუ არ მოგვეპოება არც ტყვიის-მფრქვევი ზარბაზნები, არც შორის მანძილის დურბინდები, არც ტელეფონები, არც სამგზავრო სამზარეულოები, არც რიგიანი, გამძლე ფეხსამსი, არც შესაფერი სათბუნებელი ტანისამოსი და არც ათასი სხვა აუცილებლად საჭირო ნივთები და მოწყობილობა. ვის ენაღვლება, რომ ჯარის მერვე წყება მიემართება ბრძოლის ველად, ძვლების ჩასაყრელად, თავს ვინ იწუხებს, რომ ჩვენ მოძმენი ათიათასობით ანთხევს სისხლს და წითლად ღებავს შორეულ-აღმოსავლეთს!..

საქებური ეკონომია! დამზოგველობა!.. ოფიციალურმა ქაღალდმა, ჩინ-აპელატებმა, წარმატების სურვილმა, მუქთა-ხორობამ შთანთქა მთელი ჩვენი მოწინავე ხალხი, რომელსაც მორიელივით კისერზე წამოსჯდომიან და უშხამავენ ცხოვრებას, უშხამავენ ულმობელად, დაუნდობლად... (ნ. ჟ.).

ახალი ამბავი

—

ტფ. პოლიცმეისტერის **მცველ ინგუშის ასადას საქმე**, რომელმაც პოლიციის I განყოფილებაში სასიკვდილოდ დასჭრა უკვე დაჭრილი თავ. ხერხეულიძე, გამოსაძიებლად გადაეცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ-ნს რიბინსკის.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტერი გ. ს. კოვალევი თანდათან ცუდად ხდება.** ყუმბარის ნატეხმა მარცხენა ხელის გულზე ხორცი ამოჰგლიჯა და ორივე მუხლი დაუშავა. ძალზე დაშავებული აქვს მუხლის კვირისტავი.

✦ **თავ. ლ. ხერხეულიძე 13 ივლისს დილით მოსულიერდა**, მაგრამ ღამე ისევ ცუდად გახდა და გუშინ, საღამოს 7 საათზე, გარდაიცვალა.

✦ 12 ივლისს **სადგურებ ბესლანსა და „მინერალნია ვოდი"-ზე გაიფიცნენ მუშები და ხელოსნები** და მოითხოვეს ხელფასის 20% მომატება. 15 ივლისს როსტოვიდან წავიდნენ მუშებთან მოსალაპარაკებლად კავკავის რკინის გზის წარმომადგენელნი.

✦ 10 ივლისს, ღამის 2 საათზე, ბათუმში, პეტერბურგის ქუჩაზე, **პატრულმა შეამჩნია ოთხი ახალუხიანი კაცი.** ორ მათგანს მოჰქონდა მძიმე ყუთი, ორი კიდევ ხანჯალ-ამოღებული უკან მისდევდა. პატრული შეეხმაურა მათ. ქურდებმა ყუთი დააგდეს და გაიქცნენ. პატრული გამოეკიდა და სამი მათგანი დაიჭირა, ერთმა კი დამალვა მოასწრო. **დაჭერილები კაზაკები აღმოჩნდნენ.** ყუთში ერთ თათართან მოპარული მხალი აღმოჩნდა.

✦ სოფელ კავთისხევიდან (ქართლი) გვატყობინებენ: ამ ხუთის დღის წინად აქ გვესტუმრა ცნობილი ზურაბ აბდუშელიშვილი თავის რაზმითურთ. ადგილობრივი თავადი გრიგოლ თარხნიშვილი რაზმის ბელადსა და მისს ამალას მამაშვილურად დაუხვდა. ასეთ საქციელისთვის **კავთისხევის მცხოვრებლებმა თარხნიშვილს ბოიკოტი გამოუცხადეს.** ბოიკოტი გამოუცხადეს აგრეთვე ვექილს გაბრიელ ბეჟანის ძე საყვარელიძეს. მიზეზი ის არის, რომ ყველა აზნაურებში სამეათედოდ ყანების გაცემაზე მხოლოდ ეს არ დასთანხმდა.

✦ გენერალმა ამილახვარმა სოფ. ახალქალაქში დაიბარა **ახლო-მახლო სოფლების გლეხობა.** დაიბარა გლეხები ხოვლეს, დუესის, მეტეხის, სასირეთის, ხანდაკის, გრაკლის, ყარაღაჯისა და სხვა სოფლებიდან. არც გლეხები და არც მამასახლისი არ გამოცხადებულან. ხოვლეს მამასახლისი შეიპყრეს. ნიჩბისის გლეხებს აღარც მეათედი მიუციათ მემამულესათვის. უთქვამთ, როგორც სხვაგან გადაწყდება, ისე მოგცემთ ჩვენცაო (ც ფ).

✦ 15 ივლისს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, საზოგადოების 25 წლის იუბილეისა გამო, ერთხმად დაადგინა, **ამის შემდეგ დასი წლიურ ჯამაგირზე იყოლიოს.**

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა მისწერა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსს**, რომ მან შეადგინოს ცალკე საბჭო პირველ-დაწყებით სკოლების სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად. საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქართველმა, სომეხმა და თათარმა მასწავლებლებმა. ამ კრების დადგენილება კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს უნდა მოხსენდეს, რომ მომავალს წელს მეცადინეობა შემუშავებულის გეგმის თანახმად დაიწყოს. ნამესტნიკმა საჭიროდ სცნო, რომ ერთკლასიან სასწავლებლების კურსი სამის წლის მაგიერ ოთხწლიანად გადაკეთდეს; რუსულ ენის სწავლება დაიწყოს პირველის წლის მეორე ნახევრიდან, სიტყვიერ საუბრითა და თვალსაჩინო სწავლებით. რუსული წერა-კითხვა მეორე წლის პირველ ნახევარში უნდა დაიწყონ; მასწავლებლებად უნდა დაინიშნონ ადგილობრივ ენების ზედმიწევნით მცოდნენი.

✦ **დაბა ლაილაშის სომეხთა და ქართველ ახალგაზდობისაგან** 3 ივლისს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი შამშე გულოვანისა და უდროვოდ გარდაცვალებულის ალექსანდრე წულუკიძის სულის მოსახსენებლად.

✦ რკინის გზის სატელეგრაფო ნაწილის 149 მოხელე **ბათუმის მხრიდან ბაქოს მხარეს გადაიყვანეს.** ამ ცვლილებას კავშირი აქვს ბოლო გაფიცვასთან.

✦ იურიდიულ საზოგადოების კრებაზე ერთხმად არჩეულ იქმნა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ლემმერმანი, რომელმაც უნდა წარუდგინოს **ნამესტნიკს მოთხოვნილება ერობის შემოღების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.**

✦ როგორც გავიგეთ, გორის ეპისკოპოსი ექვთიმე სთხოვს თურმე მთავრობას, **შიდა-რუსეთში გადამიყვანეთო.**

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსისმიერ დამტკიცებულ იქმნა პროექტი** ტფილისის რკინის გზის დეპო-სახელოსნოების შავ-მუშათა, ზეინკლების თანაშემწეთა და შეგირდთა დღიურ ხალ-ფასის მინიმუმის დაწესების შესახებ. ამ დამტკიცებულ პროექტით, შავ-მუშათ უწინდელ 50 კ. მაგივრად დღიურად მიეცემათ 80 კ. ზეინკალთა თანაშემწეთ 40 კ. მაგიერ 55 კ. შეგირდთ—20 კ. ნაცვლად 30 კ.

✦ გუშინ-წინ, 16 ივლისს, საღამოს 8 ს. და 20 წ. ტფილისში მუშტაიდის ბაღის თავზე გადაიარა „ბოლიდმა" და ფუნიკულერის მხარეს ჩავარდა. გზა-გზა ნაპერწკლებს ჰყრიდა. დალეწა ხეხილები მუშტაიდის და ალექსანდრეს ბაღში და საშინელი ქარბუქი ააყენა. რამდენისამე ხნით ელექტრონის ტრამვაის მოძრაობა შესწყვიტა.

✦ ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ტფილისის სადგურის დამტვირთველი მუშები. 200 კაცი, დაითხოვა. როგორც გავიგეთ, ამათ მაგივრათ ბაქოდან გამოუწერიათ მუშები.

✦ **სად. ლანჩხუთი.** 15 ივლისს, დილის 7 საათსა და 15 წუთზე, სადგურის კანტორაში შევიდა ვიღაც და მძიმედ **დასჭრა სადგურის უფროსის თანაშემწე ჩეპიუინი.**

✦ ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებთ შეუმჩნევიათ, რომ ეზოებში კრანებიდან წყლის ჩამოშვების დროს რძესავით თეთრად ამღვრეული წყალი ჩამოდისა და სთხოვენა ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ ეს ერთი კვირაა, თითქმის მთელი დიდუბე შეწუხებულია უწყლობით. ზოგიერთ ეზოში წყალი ღამის სამ საათზე არ მოდის აღრე კრანებში. დიდუბელებს ღამე ყარაულობა დაავალეს.

სხივი.... სინათლე!...

—

ის ჯერ სოფლის მასწავლებლად იყო, მერე ფოსტის დაბალ მოხელედ. პირველ ორს თანამდებობიდან დაითხოვეს, როგორც უფროსების ურჩი.

გამოსცადა სხვა რამდენიმე სამსახურიც; ყველგან შეუფერებელი გამოდგა, ერთის სიტყვით, მას ცხოვრებაში ადგილი არსად ჰქონდა, თითქოს მეტი იყო ის ამ ქვეყნად, თითქოს შეცდომით გაჩენილიყო დედამიწაზე, და როგორც ზედ-მეტს, როგორც თავის გერს, ცხოვრება არ აყენებდა მას არც ერთს თავის ნავთ-საყუდელში, მისი ტალღები ახეთქებდა მას აქეთ-იქით, ათამაშებდა, როგორც უღუზო გემს და შლიდა მასში ადამიანის ელფერს.

ცხოვრებისაგან უკვე გარიყული, გათელილი, გულამოგლეჯილი, სხეულით გახრწნილი, ის ახლა ეგდო ქილობზე ღვინის სარდაფის ბნელს ოთახში.

ერთს კუთხეში იწვა ის, მეორე კუთხეში ეყარა ნაგავი—ესეც ყველასათვის გამოუსადეგარი, გადაგდებული, სარდაფის სტუმრებისაგან ფეხქვეშ გათელილი.

საჭმელს იმავე ეზოში მცხოვრები როსკიპი ქალები აძლევდნენ და იმასაც მხოლოდ მაშინ, როდესაც მუცლით მიცურდებოდა ხოლმე კარებთან, გამოჰყოფდა გარეთ თავსა და ხრინწიანის ხმით დაიძახებდა ხოლმე:

— სონკა!

ამ სიტყვის შემდეგ ისევ მიხოხდებოდა ხოლმე ქილობთან, მოიკუმშებოდა მთელის ტანით და იწვა ასე გაუნძრევლად, თავის დაგუდლებულს, სიკვდილივით ცივს თვალებს აშტერებდა ოთახის ხან ერთს, ხან მეორე კუთხეს. აშტერებდა იმიტომ, რომ თვით ეს კუთხეები არ ეშვებოდა მას, თვით იგი, მისდა უნებურად, იტაცებდა მის თვალებს.

ერთი კუთხიდან მას მისჩერებოდა უზარ-მაზარი, პირ-დაღრენილი, კბილებ დალესილი აჩრდილი. ის უცინოდა სანდროს მწარე სიცილით. გადაწეულ ტლანქ მკლავებზე შეხმობოდა სისხლი და ნაღველი, ცრემლი და კვნესა, მის ფეხქვეშ ადამიანთა უთვალავი გვამები ეყარა. ხელში კი ბასრი მახვილი მოემარჯვნა და გაშმაგებული თვალებს აბრიალებდა.

— ცხოვრება... სიცოცხლე... — ქვითინებდა სანდრო და აჩრდილს თვალებს არიდებდა.

მაგრამ მას სდარაჯობდა მეორე აჩრდილი, მეორე კუთხიდან; ის ჩონჩხი იყო, უხორცო, უსულო, მუდამ ხელებს აფათურებდა და გრძელის ბრჭყალებით იღაგებდა ცარიელ მკერდის ქვეშ კუბოებს, საიდანაც მოსჩანდნენ ფერ-მიხდილი, ტანჯვის ბეჭედ-დაკრული გვამები. მისი ხელები ელვის სისწრაფით მუშაობდა, მაგრამ მკერდი კი მაინც ცარიელი რჩებოდა. ვერ გამოეცნო სანდროს, სად იკარგებოდა ამდენი უსულო გვამი ადამიანებისა.

— სიკვდილი... სიკვდილი... — ამოიკვნესებდა ის ქილობზე და დაიწყებდა ტირილს უმწეო ბალღივით.

— სონკა! სონკა! მიშველე! —წკმუტუნებდა საბრალო და ფარაჯის ქვეშ იმალებოდა.

საბრალოს უყვარდა სონკა, როგორც ქუჩის უპატრონო ძაღლს ბაყალი, რომელიც მას თავისთვის გამოუსადეგ ლუკმას მიუგდებს.

—

იანვრის ღამე იყო, მთვარიანი, საამური. თბილოდა. თოვლის პატარა, ერთმანეთში არეული, თეთრი ვარსკვლავები მოფრინავდა ზევიდან. ქალაქი თეთრდებოდა და მთვარის შუქზე სუდარა გადაფარებულს, დიდს სასაფლაოს ჰგვანდა. მიყუჩებულს ჰაერში შორიდან ისმოდა მხოლოდ შეგვიანებულის ეტლის ან ფეხის ხმა.

სანდროს ორი დღე-ღამე არ სძინებია. არც ახლა ეძინა. ისევ ისე გაუნძრევლად მოკუმშული იწვა ქილობზე. იგივე აჩრდილი მწარე სიცილით, შმაგი თვალებით მისჩერებოდა მას. იგივე ჩონჩხი აფათურებდა გარშემო ხელებს. ის კი ეხვეოდა ფარაჯაში, იფარებდა თვალებზე ხელებს, მაგრამ ამაოდ, მაინც ხედავდა, მაინც უყუროებდა.

— ცხოვრება... სიკვდილი... ფურჩულებდა ის შემკრთალი და სტიროდა, სტიროდა მწარედ, მდუღარე ცრემლებით!..

კედელს იქიდან, სარდაფში კი ქეიფობდნენ. სანდროს კარგად ესმოდა ოდესღაც მისი ამხანაგების ხმა. აგერ მეარღნე საშა სონკას სადღეგრძელოსა სვამს. ოდესღაც სანდრო მას ქვას არიგებდა: „სინიდისი, პატიოსნება, ცხოვრების გაკეთილშობილება"... უხსნიდა ის საშას, მაგრამ მეარღნეს არ ესმოდა მისი სიტყვები, ის ღრიალებდა, იქნევდა დიდს მუშტებს, აბღვრიალებდა თვალებს, სტოლიდან ღვინო ძირს წანწკარით ჩამოდიოდა... კიტრის ნაფცქვენები... შამაია... წიწაკა... მოაგონდა ყველაფერი სანდროს.

ფელეტონი

—

გერმანიის მუშათა პარტია

„ჩვენ რომ სოციალ-დემოკრატია არ გვყავდეს, გერმანია ვერ დაიკვეხებდა იმ მცირე სოციალურ რეფორმებსაც კი, რომელიც მან მოიპოვა",—ასე დაახასიათა გერმანიის მუშათა პარტიის მნიშვნელობა გერმანიის სოციალურ ცხოვრებაში „რკინის კანცლერმა" ბისმარკმა, რომელიც ერთ და იმავე დროს აფასებდა კიდევაც ამ პარტიას და მისი პირველი ჯალათიც იყო. მეორე კანცლერმა კაპრივიმ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოსთქვა თავისი აზრი ამავე პარტიის შესახებ: „როცა მთავრობა ამა თუ იმ კანონის გამოცემას აპირობს, თავის თავს ეკითხება, რას იტყვის ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიაო". ვინც ცოტათი მაინც იცნობს ამ ორ კანცლერის მიმართულებას, ადვილად გაიგებს და წარმოიდგენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის მუშათა პარტიას ბისმარკის დროსაც კი, თორემ ახლა, ჩვენს დროში, ამ მნიშვნელობამ ერთი-ორად იმატა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია 1863 წლიდან იწყება, მანამდის კი გერმანიაში ისეთი შავი რეაქცია იყო გამეფებული, რომ პოლიტიკურ პარტიის შედგენა მუშებს აზრადაც არ მოსდიოდათ. მე-60 წლებში გერმანიას დაჰბერა ლიბერალურმა სიომ. საჭირო იყო გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა შეკვრა, გაერთიანება და მძლავრ იმპერიის დაარსება. ამ აზრის განსახორციელებლად და მცხოვრებთა ყველა კლასების დასაინტერესებლად მთავრობამ მარწუხები მოუშვა, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დასტური დასცა და მართვა-გამგეობის სისტემის კარებში ცოტაოდნად თავისუფლებას სიო შეუშვა. აი, სწორედ ამ დროს მოევლინათ გერმანიის მუშებს ნიჭიერი, მშვენივრად მომზადებული და მეცნიერულ ცოდნით აღჭურვილი ფერდინანდ ლასსალი, რომელმაც მოკლე ხანში შეადგინა „გერმანიის მუშათა საყოველთაო კავშირი". ლასსალი ცოტა ხანს მუშაობდა პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ მაინც დიადი სარგებლობა მოუტანა მუშების საქმეს. იმის სიკვდილის შემდეგ აგიტაცია და პროპაგანდა შესუსტდა, მაგრამ მალე გამოჩნდა მეორე ბელადი—შვეიცერი, რომელმაც პროგრესიულ პარტიას ბერლინის მუშებიც წაართვა და თავისს ბანაკში გადმოიყვანა. შვეიცერი დიდ წინააღმდეგობას უწევდა სხვა პარტიებს და თავ-გამოდებით ებრძოდა დანარჩენ სოციალისტებს, მაგრამ ბოლოს ლასსალის მეგობარმა გრაფინია ჰაცფელდმა მაინც წაართვა მას ბლომად მუშები და ცალკე პარტია შეადგინა. ლასსალიანელთა და, ეგრედ წოდებულ, ეიზენახელთა შორის პრინციპიალური უთანხმოებაც იყო. ეიზენახელები მარქსის მიმდევარნი იყვნენ, ბელადებსაც მარქსისტებიდან ირჩევდნენ და მომხრეებს ეძებდნენ უფრო სამხრეთ გერმანიაში. მარქსის ერთმა მეგობარმა—ლიბკნეხტმა—თავის პარტიაში მიიმხრო მუშათა ფერეინების პრეზიდენტი, ნიჭიერი ავგუსტ ბებელი, რომელმაც შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. 1869 წელს ეიზენახში ოფიციალურად შესდგა სოციალ-დემოკრატთა ახალი პარტია, რომელსაც პირდაპირ ეიზენახელთა პარტია დაერქვა. ორგანიზაციის მხრით ეიზენახელთა და ლასსალიანელთა პარტიებს შორის დიდი განსხვავება იყო: ლასსალიანელების პარტია დამყარებული იყო ნამდვილ ცენტრალიზმზე, ეიზენახელებისა კი ფედერატიულად იყო შეკავშირებული. ორგანიზაციის ეს სისტემა მას აქეთ აღარ შეცვლილა და უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელს ქვეყანაზე,—გერმანიის მუშათა პარტია,—ეხლაც ფედერალიზმის პრინციპებით არის შეკავშირებული და არც აპირობს ამ პრინციპების მოსპობას. ამ ახალ პარტიის უმეტესობა სამხრეთ გერმანიისა და საქსონიის დემოკრატიულ პარტიებიდან იყო გამოსული და ამიტომ შემდეგშიაც ერთობა ჰქონდათ იმათთან. რამდენისამე ხნის შემდეგ დემოკრატიულ პარტიების უმეტესობა სოციალ-დემოკრატებს მიემხრო, უმცირესობამ კი მარჯვნივ გაიწია და სხვადასხვა ზომიერ პარტიებში მთაინთქა.

1871 წელს გერმანიის რეიხსტაგში სოციალისტებს მხოლოდ ერთი დეპუტატი—განთქმული ბებელი ჰყავდათ. 1874 წელს სოციალ-დემოკრატებმა 9 დეპუტატი შეიყვანეს ამავე რეიხსტაგში. ამ წელს სოციალისტთა ყველა დეპუტატებმა 350,000 ხმა მიიღეს, რასაც თვით სოციალისტებიც კი არ მოელოდნენ. ამავე წელს მთავრობამ სოციალ-დემოკრატებს დევნა დაუწყო და ამით ამ პარტიის აზრების გავრცელებას ხელი შეუწყო. 1875 წელს ორივე პარტია—ეიზენახელები და ლასსალიანელები—შეერთდა. მარქსისტებმა ბევრი რამე დაუთმეს თავიანთ პროგრამიდან ლასსალიანელებს, რაიც მარქსს ძალიან ეწყინა, მაგრამ მეტი გზა არ იყო: მთავრობა ორსავე პარტიას სდევნიდა და შეერთება იყო საჭირო. ამ ახალ-პროგრამის შედგენაში დიდ მონაწილეობას იღებდა განთქმული ბერნშტეინიც, რომელსაც ახლა მართლმორწმუნე მარქსისტები ცოტა აღმაცერად უყურებენ. შეერთებულმა პარტიამ საკვირველის მხნეობით დაიწყო პროპაგანდა და აგიტაცია. 1877 წელს, პარტიამ თუმცა ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ რეიხსტაგში მხოლოდ 12 დეპუტატი გაგზავნა.

ახალ პარტიის გამარჯვებამ ბურჟუაზია ფეხზე დააყენა. 1874 წელს პროფესორმა ფონ ტრეიჩკემ ერთი ალყალ-მაყალი ასტეხა და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მთელი მიმართულება შეჰქმნა, მაგრამ ვერას გახდა. ამავე დროს ბისმარკმა პროტექციონიზმის შემოღება განიზრახა, მაგრამ, რადგან მემარცხენენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ საჭირო იყო ახალ არჩევნების დროს მათი გაშავება და შესუსტება. ათას უკანონო ხრიკებითა და პოლიციურ ძალმომრეობით ბისმარკმა ახალ არჩევნების დროს კონსერვატორებს გაამარჯვებინა და მემარცხენეთა რიცხვი შეამცირა. რეაქციონერთა დახმარებით, 1878 წ. ბისმარკმა ჯერ $2^1/_2$ წლით გამოსცა და შემდეგ რამდენჯერმე განაახლა განსაკუთრებული კანონი, რომელიც სოციალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ კანონის ძალით, ადმინისტრაციის ნება ეძლეოდა ისე მოჰქცეოდა პარტიის წევრებს, პრესსას, კავშირებს, აგიტატორებსა და კრებებს, როგორც იმისი ნება იყო. 12 წლის განმავლობაში პოლიციამ მოსპო 352 კავშირი, გაჩხრიკა 10,000 ოჯახი, გერმანიიდან განდევნა 893 პარტიის წევრი და გააუქმა 1299 პერიოდული გამოცემა. ამ რეპრესსიამ პარტიას გარეგნული, ორგანიზაციული ფორმები დაუზიანა, შინაგან, ზნეობრივ მხარეს კი არა თუ ვერ შეეხო, პირიქით, უფრო განამტკიცა და გააძლიერა კიდეც. პარტიამ თავის გამოცემანი და კრებები საზღვარ გარეთ გადაიტანა და მთელი გერმანია პროკლამაციებითა და მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებით აავსო. ამის მიუხედავად, 1884 წ. პარტიამ 550,000 ხმა მიიღო და რეიხსტაგში 24 დეპუტატი გაგზავნა. 1887 წელს ბისმარკმა სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონი ხელმეორედ გამოსცა. მიუხედავად ამ განსაკუთრებულ კანონისა, სოციალ-დემოკრატებმა მაინც 760,000 ხმა მიიღეს, მაგრამ წინანდელ 24 დეპუტატის მაგივრად რეიხსტაგში მხოლოდ 11 დეპუტატი გაგზავნეს.

1890 წლის არჩევნებიც მოახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ჯერ მოსპობილი არ იყო განსაკუთრებული კანონი, მუშათა პარტიამ ისე ბრწყინვალედ და სამაგალითოდ გაიმარჯვა, რომ რეაქციას საბოლოოდ მოუღო ბოლო და მისი პოლიციური ხაფანგები ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ამ წელს სოციალ-დემოკრატიამ მიიღო 1,430,000 ხმა და რეიხსტაგში 11-ის მაგივრად 35 დეპუტატი გაგზავნა. ამის შემდეგ პარტია თანდათან ძლიერდებოდა: 1893 წელს მიიღო 1,800,000 ხმა (53 დეპუტატი), 1898 წელს—2,100,000 ხმა (58 დეპუტატი) 1903 წელს კი სოციალ-დემოკრატიას ისეთი გამარჯვება ერგო, რომ ამას მათი უკიდურესი ოპტიმისტებიც კი არ მოელოდნენ: ამ წელს სოციალ-დემოკრატიამ მიიღო 3,010,000 ხმა, რეიხსტაგში გაგზავნა 81 დეპუტატი და მთელ იმპერიის პარტიებში ერთი პირველ პარტიათაგანი შეიქმნა.

ყველა, ვინც კი მთელის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას თვალყურს ადევნებს და სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ პარტიებს იცნობს, გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულ იდეების ასეთ გავრცელებით გაკვირდება და ძალაუნებურად იკითხავს,—რა მიზეზია, რომ სოციალ-დემოკრატიამ გერმანიაში ასე მაგრა მოიკიდა ფეხი, სხვაგან კი იმავე აზრების მიმდევარი პარტიები შედარებით სუსტნი და უძლურნი არიანო. მიზეზად ზოგი გერმანიაში მრეწველობის განვითარებასა და პროლეტარიატის გამრავლებას ასახელებს, მაგრამ ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა: საფრანგეთსა, ინგლისსა და ამერიკაში მრეწველობა გერმანიაზე ნაკლებად არ არის განვითარებული (ინგლისსა და ამერიკაში, პირიქით, მრეწველობა უფრო განვითარებულია, ვიდრე გერმანიაში), მაგრამ იქ სოციალ-დემოკრატიული პარტიები, გერმანიის პარტიასთან შედარებით, უძლურნი არიან. საგულისხმო ის არის, რომ ამერიკაში, ავტრიაში, საფრანგეთში და სხვაგანაც მრავლად მოიპოვება სხვადასხვა სოციალისტური ჯგუფები და ფრაქციები, გერმანიის რეიხსტაგში კი არის მხოლოდ ერთი,—სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს მოვლენა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ გერმანიის ყველა სოციალისტური ჯგუფები—„ეიზენახელები", „რევიზიონისტები", „აკადემიკოსები" და სხ.—შეერთებულნი არიან ერთ პლატფორმაზე, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწოდება, საფრანგეთში და სხვაგან კი ეს ჯგუფები ჯერჯერობით ვერ შეერთებულან. მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტში რამდენიმე სოციალისტური ჯგუფია—ჟორესისა, გედისა, ბლანკისა და სხ., რომელთაც საერთო პლატფორმა ჯერ ვერ მოუპოვიათ, ერთ სოციალისტურ პარტიად ვერ შეერთებულან და ამ პარტიისთვის საერთო სახელი ვერ დაურქმევიათ.

უკანასკნელ არჩევნების დროს ცხადად დამტკიცდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არჩევნებში აუარებელი გარეშე ელემენტიც ემხრობა. გერმანიის ზოგიერთა პროვინციაში (საქსონიასა, ჰამბურგსა, ბერლინსა და ალტონაში) სოციალ-დემოკრატების კანდიდატებმა არჩევნების დროს გაცილებით მეტი კენჭი მიიღეს, ვიდრე უნდა მიეღოთ, ე. ი. კენჭის რიცხვმა მუშათა რიცხვს გადააჭარბა, რაიც ამტკიცებს, რომ ამ პარტიისთვის, მუშების გარდა, გარეშეებსაც ბევრი კენჭი მიუციათ; თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მუშების ერთი ნაწილი სხვა პარტიებს მისცემდა კენჭს, ცხადად დამტკიცდება, რომ მუშების გარდა სოციალ-დემოკრატებისთვის სხვა ელემენტებს—წვრილ ვაჭრებს, გლეხებს, ინტელიგენციასა და სხ.—ბლომად მიუციათ კენჭი. ზოგიერთ პროვინციებში, რომელნიც უმეტესად კათოლიკეებით არიან დასახლებულნი, სოციალ-დემოკრატებს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ერთი მეოთხედი ძლივს უშოვნიათ; იმ პროვინციებში კი, რომელნიც პროტესტანტებით არიან დასახლებულნი, სოციალ-დემოკრატიას ხშირად ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ორი მესამედიც მიუღია, თუმცა კი ორივე პროვინციაში მრეწველობა თანასწორად ყოფილა განვითარებული. ერთი გერმანელი მწერალი—რ. ბლანკი—სტატისტიკურად ამტკიცებს, რომ 1903 წელს, იმ 3,010,771 კენჭიდან, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ მიიღო, 750,000 კენჭი გარეშე ელემენტებს ეკუთვნოდაო. გარდა ამისა, ახლა სავსებით გამოირკვა, რომ ევგენი

— მე ვარიგებდი, გაიფიქრა მან, და, ძალაუნებურად, კუთხეში აჩრდილის მწარედ დამცინავ სახეს თვალები მიაშტერა.

— მე ვარიგებდი... ის კი, ის... ცხოვრებაა... ცხოვრება... ამოიკვნესა მან და გაინაბა.

მოქეიფეების ყოველი სიტყვა, ყოველი სიმღერა, სადღეგრძელო, სტაქნების წკრიალი, ხმაურობა, თამაში, მას საფლავის ქვასავით აწვებოდა გულზე. გამოუთქმელის სიმწარით სტკიოდა სხეულის ყოველი ასო.

ფარაჯაში გახვეული, თვალებ დახუჭული გრძნობდა, რომ ის საზიზღარი აჩრდილი ნელნელა მიეპარა და აიტუზა მის თავთან. აჩრდილი იცინოდა ცივი, შეუბრალებელის სიცილით. ყოველი მისი ღიმილი სანდროს სხეულს შხამივით უვლიდა, მერე ეს შხამი იკრიბებოდა გულში და ნემსივით ირეოდა, იჩხვლიტებოდა.

აჩრდილი უცებ აიქრუშა, შუბლი შეიჭმუხნა, მერე გაიხარხარა და თვისი ტლანქი ხელები ჩაუყარა სანდროს მკერდში. ის კი კვნესოდა, იგრიხებოდა ჭიაყელასავით და იპალებოდა ძონძებში.

— ცხოვრება... ცხოვრება... ცხოვრება!...

კვნესოდა სანდრო და მისი ხმა თვალებ-აუხილავ, ხრამში გადაგდებულ ლეკვის ხმას უფრო ჰგვანდა, ვიდრე ადამიანისას.

უცებ ყველაფერი შეიცვალა. აჩრდილი გადაიქცა ერთს დიდ, უზარ-მაზარ ღვინის კასრად; ბრბო მას გარს შემოეხვია, ყველანი იქით მიეშურებოდნენ, სთელავდნენ ერთმანეთს, სჭყლეტავდნენ თავისზე სუსტს, ხელიდან სტაცებდნენ ჰქას და, ვინც იმარჯვებდა, ვინც კი დაეწაფებოდა ხოლმე უცნაურ ნექტარს, ის გონება გაბრუებული ყვიროდა, ბრძანებლობდა, ცეკვამდა, მღეროდა. მის ფეხქვეშ კი იღუპებოდნენ სუსტნი, ავათმყოფნი, ბრძოლით ღონე-მიხდილნი.

— ცხოვრება... ცხოვრება... ცხოვრება...

ატოკებდა სანდრო ტუჩებს და იყრიდა ზყვიდან კონკის ძველებს, ნაგავს, ხუჭავდა თვალებს. მას არ უნდოდა დაენახა ის საშინელი ფეხები, რომლებიც შეუბრალებლად სთელავდნენ ადამიანის გვამებს.

ამ საზარელს ბრბოში მეორე აჩრდილი-ჩონჩხი გძელის ხელებით, ეზიდებოდა კუბოებს მკერდისაკენ, რომელიც შავი ჯურღმულივით მოსჩანდა.

— ცხოვრება... სიკვდილი...! ცხოვრება..! სიკვდილი..! წკმუტუნებდა სანდრო მისუსტებულის ხმით და თვითონაც ეშვებოდა იმავე შავს უფსკრულში.

— ცხოვრება... სიკვდილი..!—წარმოსთქვა მან უკანასკნელად და მიილულა.

—

თენდებოდა, მაგრამ განთიადს ძლივს შეამჩნევდით, რადგან მთვარე ისევ ისე მედიდურად დასცქეროდა გათეთრებულს ქალაქს. შემდეგ ნელნელა სამხრეთისაკენ გადაიხარა, ჩაცურდა ცის დასავლეთზე გაკრულ ცრიაქ ღრუბლებში და დაიმალა. მან ადგილი დაუთმო მზის გაუბედავ სხივებს, რომლებიც ჯერ ქალაქის დასავლეთისკენ ამართულ მთის მწვერვალს მიეფინნენ, მერე ნელნელა ძირს ჩამოეშვნენ, გაიპწკარნენ, გაიფანტნენ და გადაეფინენ გათეთრებულ ქალაქს.

ერთი სხივი სანდროს სარკმელსაც მოხვდა. ის შეკრთა, შეკანკალდა, ფარაჯას ქვეშ იგრძნო, რომ მისი ოთახის ჰაერი ოდნავ შეირხა, რაღაც სასიამოვნო ფერი მოეფინა შავს კედლებს, თვით მის თავზე, გულზე ცურავდა ნაზი უხილავი ხელი, ეალერსებოდა მას, მის ცრემლებს, მის ტკივილებს.

მან ცალი თვალით გამოიხედა ფარაჯის ქვეშიდან, გული რაღაც სიხარულით აუთრთოლდა, უნდოდა მოხვევნოდა ამ სხივს, ხელი შეეხო მისთვის, ჩაეკონა დაწყლულებულ გულში, როგორც მალამო, წაეცხო დაწყლულებულს სხეულზე, როგორც სამკურნალო წყარო, ჩაეშვა ფილტვებში, გულში და დაეძახნა:

— აღსდეგით! გაიღვიძეთ! სხივი! სხივიო!

მან სუნთქვას მოუმატა, მკერდი საშინლად უცემდა, თვალები უელავდნენ, უდიდდებოდნენ; ის ხედავდა, რომ სხივი სწორედ იმ ადგილს მიაჩერდა, საიდამაც მისი მტარვალი, მისი გულის მქენჯნავი, იმავე სახით, დამცინავად გამოიყურებოდა. სხივი გაცისკროვნდა, გაიზარდა, ცეცხლივით აენთო აჩრდილის დაღრეჯილს სახეზე. აჩრდილი კი აკანკალდა, უკანასკნელად გაიცინა მწარედ და გადნა, მიიმალა, გაჰქრა.

სხივი კი სწურავდა სარდაფის სიბნელეს, ყოველ მის ცივს კუნჭულში შეჰქონდა სიყვარული, ალერსი, ცხოველი ძალა...

სანდრო თვალს არ აშორებდა, მას უნდოდა თვალებით შეეწოვნა ეს სიცოცხლის ნაკადული, ამდგარიყო, მოეკრიბა ღონე, გადახვეოდა ყველას;

მაგრამ ის ტიროდა, ტიროდა სიხარულის ცრემლებით, სუნთქვა თანდათან უძნელდებოდა, სული ეხუთებოდა, მკერდი უთრთოლავდა, თითქოს იქ მის ქვეშ ტალღა ტალღაზე სცემდა, რომ ამოსულიყო ზევით, განთავისუფლებულიყო...

— ცხოვრება... სხივი... სინათლე... ძლივს-ღა ატოკებდა ის ტუჩებს და სარკმლისაკენ გაშვერილი ხელები ჰაერში გაუშეშდა.

გარედ ქალაქის ქუჩებიდან კი ამ დროს მოისმოდა რაღაც ყიჟინი... იარაღის ჩხარუნი, გუგუნი ხალხისა, რომელიც გამოღვიძებულ ლომივით ღრიალებდა და შიშის ზარსა სცემდა არე-მარეს. იქ სხივები სისხლით შეღებილს თოვლს დაჰკონებოდნენ, აღნობდნენ და წითელს ნაკადულებად ქუჩაზე მოათამაშებდნენ.

— სხივი... სინათლე... სინათლე!.. შეატოკა კიდევ ტუჩები სანდრომ და უცებ გაიშალა, გაიჭიმა, მერე შეკანკალდა და გაჩუმდა, გაჩუმდა სამუდამოდ.

სხივი კი მაინც ეალერსებოდა მის ნახევრად ჩახუჭულს, უსიცოცხლო, შუშისფერ თვალებს.

— სხივი... სინათლე... სინათლე!..

გრგვინავდა ამ დროს ქუჩა!

ი. ევდოშვილი.

თანამედროვე დემოკრატია

(კ. კაუცკისა)

თვითმპყრობელობა მეთვრამეტე საუკუნეში განსაკუთრებით ძლიერი შეიქმნა,—სწორედ ამ დროს მან დასავლეთ ევროპაში მიაღწია უმაღლეს განვითარებას.

მეთვრამეტე საუკუნეში სახელმწიფო ინგლისსა და საზოგადოდ დასავლეთ ევროპაშიაც ხელს უწყობდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ხელოვნურ ზრდას და პროლეტარიატის გამრავლებასაც. ამავე დროს იგივე სახელმწიფო თავად-აზნაურთა ერთ ნაწილისაგან ხალხის ყვლეფას აადვილებს; ინგლისში მყვლეფავად გამოდიოდნენ ის თავად-აზნაურნი, რომელნიც სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში იდგნენ; დასავლეთ ევროპაში კი ისინი, ვინც გარს ეხვეოდნენ მეფის სასახლეს, და მათთან ერთად მდიდარი ფინანსისტებიც.

ხალხი მეთვრამეტე საუკუნეში თანდათან უფრო წინააღმდეგი ხდებოდა ამნაირ სახელმწიფოსი. ამ დროს ვაჭრობა-მრეწველობამ განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწია, ისეთი სახე მიიღო, რომ ბიუროკრატიის მფარველობა და მუდმივი თვალ-ყურის დევნა მისთვის მავნებელი გამოდგა. ბაზარზე საყოველთაო ქიშპობის დროს გამარჯვებული რჩებოდა ის, ვინც ახერხებდა რამე ახალ აღმოჩენის სხვებზე უფრო ადრე გამოყენებას, ვინც უფრო მიუხვდებოდა ბაზრის წუთიერ მოთხოვნილებას.

ახლა მთავრობის მფარველობა კი აღარ იყო საჭირო, ახლა კაპიტალისტების სატრფიალო მიზანი შეიქმნა—თავისუფლება.

მაგრამ ბურჟუაზია მხოლოდ ეკონომიურ თავისუფლებას არ სჯერდებოდა, მას უნდოდა ახლა პოლიტიკური თავისუფლებაც.

იმ დროს ბურჟუაზია უკვე საკმაოდ ძლიერი იყო, განათლებული, ეკონომიურად გაბატონებული და ამიტომ მას (საფრანგეთსა და ინგლისში) თავისი თავი საკმაოდად ძლიერი მიაჩნდა მეფის და სამეფო ტახტთან დაკავშირებულ არისტოკრატიის დასამხობად.

მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე საუკუნეში და მეთექსმეტე საუკუნის დასაწყისშიაც მსხვილი ვაჭრობა განსაკუთრებით ფუფუნებას ემსახურებოდა. მისვლა-მოსვლა იმდენად იყო გაძნელებული, საქონლის გადატანა იმდენად გაძვირდა, რომ მხოლოდ ძვირფასიან საქონლით-ღა ვაჭრობა შეიძლებოდა. ზღვით ევროპაში ვაჭრებს მოჰქონდათ ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი სუნნელება და ნაქსოვი და სხ. ევროპის კაპიტალისტური წარმოება, ე. ი. მსოფლიო ბაზრისთვის მომუშავე წარმოება, აბრეშუმეულობას აკეთებდა, ფაიფურს, ხალიჩებს და სხ.; კაპიტალისტების მოგების წყარო იმდროს არისტოკრატიის ხელგაშლილი ცხოვრება იყო.

მაგრამ თანდათან მისვლა-მოსვლა გაადვილდა, გაუმჯობესდა წარმოების ტეხნიკაც და ბაზარზე ფუფუნების საგნებთან ერთად ხალხისთვის საჭირო რამეები გამოდის. მდიდრულ ნაწარმოების გასასაღებლად მდიდარი და მხარჯველი კლასები თუ იყო საჭირო, ახლა იაფ-ფასიან ნაწარმოებისთვის აუცილებელი იყო ხალხის ქონების გაუმჯობესება, საჭირო იყო ძალად კლასსებისაგან ხალხის გაყვლეფის მოსპობა. ამიტომ ბურჟუაზიისთვის საბრძოლველ მიზნად შეიქმნა არისტოკრატებისაგან ხალხისა და სახელმწიფოს გაძარცვა. ამასთან ერთად საწარმოვო მასალაზე და მუშაობისთვის იაფ სანოვაგეზე მოთხოვნილებამ თანდათან იმატა. ამ მოთხოვნილებას ადგილობრივი წარმოება ისე ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომ მწარმოებელთა კლასსისათვის თანდათან უფრო საჭირო შეიქმნა საზღვარგარეთიდან იაფ-ფასიან სანოვაგესი და საწარმოვო მასალის შემოტანა სახელმწიფოში. მიწის პატრონების, მსხვილ მემამულეებს კი სულ სხვა, ამის წინააღმდეგი ინტერესები ჰქონდა.

ამნაირმა მდგომარეობამ ჯერ ინგლისსა და საფრანგეთში და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც ბურჟუაზია არსებულ არისტოკრატიულ წყობილებას გადაამტერა.

ბურჟუაზიასთან ერთად საზოგადოების დაბალი კლასსებიც შეინძრნენ: გლეხები და მოქალაქეებიც, რომელთაც პროლეტარიატიც მიეხრო. ეს უკანასკნელი კლასსი ჯერ ვერ გამოსულიყო დამოუკიდებლად და წვრილ ბურჟუაზიის უკიდურეს სარევოლუციო ნაწილთან ერთად იბრძოდა. მეთვრამეტე საუკუნეში მთელი სახელმწიფო ხარჯები ამ კლასსებს აწვათ კისერზე გადასახდელად, ესენი ინახავდნენ ბიუროკრატიას, ჯარსა და სასახლეს, სახელმწიფო ვალსაც საზოგადოების დაბალი კლასსები იხდიდნენ.

გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი,—რამდენადაც კი შეიძლება იმ დროს პროლეტარიატის ხსენება—იმ თავითვე თვითმპყრობელობის წინააღმდეგნი იყვნენ, და ვერ იტანდნენ არისტოკრატიისაგან ხალხის უმეტესობის გაყვლეფას. მაგრამ ყველგან სადაც მათ სცადეს წინააღმდეგობა,—დამარცხებული დარჩნენ. ამის მიზეზი მათი დაქსაქსვა იყო, სხვადასხვა სოფლის და ადგილის დაუკავშირებლობა ერთმანეთში, ისე რომ, ცენტრალისტური მთავრობა მათ ადვილად უღებდა ბოლოს.

თანდათან ამ კლასსებზედაც იქონია თავისი გავლენა სახელმწიფოს მთლიანობამ. და კაპიტალიზმმაც,—გადასახადებმა, ვაჭრობამ, სამხედრო სამსახურმა და სხვ.; მათი დაქსაქსვა თანდათან მოისპო, ზოგან ადრე, ზოგან უფრო გვიანაც, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიებში, რომელნიც წინადაც დიდ ქალაქებში მცხოვრებ ამხანაგებს უერთდებოდნენ. მათი მაგალითი მთელ ქვეყნის მშრომელ ხალხისთვის მისაბაძი შეიქმნა. ამავე დროს კაპიტალისტური წარმოება დიდ ქალაქებში თავს უყრიდა დიდძალ პროლეტარიატს და მასთან ერთად წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებსაც, რომელნიც ახლა მხოლოდ სასახლის იმედით არ იყვნენ. სასახლის ფუფუნება მხოლოდ უფრო ცხადად უბრუნებდა მათ საკუთარ სიღარიბეს და მთავრობისა და მის ავან-ჩავანისკენ მიმართავდა მთელი ხალხის ჯავრსა და სიძულვილს.

დიდ ქალაქებში მშრომელ კლასსების მეთაურობით წვრილ ბურჟუაზიამ და პროლეტარებმა მთელ სახელმწიფოში, ზოგან გლეხებმაც, თანდათან შეიგნეს, რომ ადგილობრივ ინტერესებს გარდა, მათ საერთო სახელმწიფო ინტერესებიც ჰქონიათ, ამასთან ერთად გაიზარდა მათი ძლიერება და გავლენა.

კაპიტალისტებსა და მშრომელ კლასებს გარდა, არისტოკრატიულ წესწყობილებას კიდევ ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა,—ეს იყო ბურჟუაზიის ინტელიგენცია,—ვექილები, პროფესორები, ექიმები, მწერლები და სხ.

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში ეს კლასსები, ასე თუ ისე, იყვნენ დამოკიდებულნი უმაღლეს არისტოკრატიაზე. საშუალო საუკუნოებში მეცნიერება და ხელოვნება თავს იფარავდა ეკლესიაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან რეფორმაციის დროიდან ამ საქმეზე აიღო ხელი, ყოველს მეცნიერს, ყოველ პოეტს და ყოველ მწეროლს, რომელიც ეკონომიურად დამოუკიდებელი არ იყო,—მხოლოდ მაშინ შეეძლო თავის საქმის შესრულება, თუ არ ჰყავდა მფარველი ბატონი, რომელიც მას თავის მოსამსახურეთ აიყვანდა და შეინახავდა.

მაგრამ ბურჟუაზია თანდათან ძლიერდებოდა,—მას თანდათან მეტი თავისუფალი დრო ურჩებოდა, მისი მოთხოვნილება იზრდებოდა და განათლებული ხალხი ბურჟუაზიისათვისაც საჭირო ხდებოდა,—ამნაირად შეიქმნა ახალი ბაზარი ვექილებისთვის, ექიმთათვის, ინჟენერთათვის, მასწავლებელთათვის და სხ.; მას აქეთ კი, რაც დაბალმა კლასსებმაც საპოლიტიკო და გონებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება დაიწყეს, წიგნების და გაზეთების კითხვას მოჰკიდეს ხელი და სხვა—ინტელიგენციაც თანდათან უფრო დამოუკიდებელი ხდება მთავრობისა და არისტოკრატიისაგანაც; მეცნიერებასა და მწერლობაში საწინააღმდეგო მიმართულების გავრცელება შეიქმნა შესაძლო. მალე ამ მიმართულებამ მწერლობასა და მეცნიერებაში პირველი ადგილი დაიჭირა, ვინაიდან ცხოვრების სინამდვილე არისტოკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ ღაღადებდა და თვით ინტელიგენციაც თავის სოციალ მდგომარეობითა და ინტერესებით უფრო ბურჟუაზიას ემხრობოდა და მასთან იყო.

ინტელიგენცია დანარჩენ ბურჟუაზე მაღლა იდგა და მას ამ კლასსის შემთხვევითი და დროებითი ინტერესები არ აწუხებდა. ამიტომ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას შეეძლო ბურჟუაზიის მეთაურობა ეკისრა, მის კლასსიურ ინტერესების გამომხატველი გამხდარიყო. მაგრამ იმ დროს ბურჟუაზიის კლასსიური ინტერესები ეთანხმებოდა მთელ საზოგადო განვითარების მოთხოვნილებას, თვით დაბალ კლასსების მოთხოვნილებასაც, ვინაიდან ყველას ერთი და იგივე მტერი ჰყავდა დასამარცხებელი: არისტოკრატიული წეს-წყობილება.

ამ წეს-წყობილების უღელი ისეთი მძიმე იყო, გაყვლეფა ისეთი უკიდურესი, რომ ხალხის სხვადასხვა კლასსის შინაური წინააღმდეგობა უმნიშვნელოდ რჩებოდა: ქალაქი და სოფელი, მუშა და კაპიტალისტი, ხელოსანი და მსხვილი მრეწველი, მრეწველი და ვაჭარი,—ყველა ერთად იმავე მიზნის მისაღწევად იბრძოდა.

ბურჟუაზიის, მოქალაქეების, გლეხობის და პროლეტარიატის სხვადასხვა ჯგუფი არსებულ თვითმპყრობელობის დასამხობად შეერთდა. ამ შეერთების ხელის შემწყობი, ამისი მეთაური იყო ბურჟუაზიის ინტელიგენცია. მას ყველაზე ნაკლებად ეტყობოდა იმ მიზეზების გავლენა, რომელსაც კლასსების სხვადასხვა ნაწილში უთანხმოება გამოუწვევია ხოლმე; იგი ყველაზე უკეთესად გრძნობდა და ხედავდა შემაერთებელ ინტერესებსაც; ამიტომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში დაწყებულ დემოკრატიულ მიმართულებასაც დაეტყო ინტელიგენციის ძლიერი გავლენა: ინტელიგენციამ მისცა მას მეთაურები და უმთავრესი მებრძოლნიც.

დემოკრატიას ორი მიზანი ჰქონდა წინ დასახული. ერთის მხრივ, მას უნდა შეესუსტებინა მთავრობის ბატონობა ხალხში, სულ ერთია, ეს მთავრობა ხელმწიფისა თუ პარლამენტის ხელში იქმნებოდა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ რამოდენიმედ შეიძლებოდა, ვინაიდან კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებლად იყო საჭირო ძლიერი ცენტრალისტური მთავრობა. ამიტომ დემოკრატიას პირველ მიზანთან ერთად მეორე მიზანიც უნდა დაესახა უთუოდ: სახელმწიფო უფლება არისტოკრატიის ხელიდან გამოეტაცა და ხალხისთვის მიეცა.

პირველ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მთავრობის და მის მოხელეების საწინააღმდეგო კრიტიკის თავისუფლება: პარლამენტის კრებები საჯარო უნდა ყოფილიყო, უნდა შემოსულიყო სიტყვისა და პრესსის თავისუფლება. ამას გარდა, დემოკრატია ითხოვდა, რომ სახელმწიფო უფლების ერთი ნაწილი გადაეცათ სოფლებისათვის და პროვინციებისათვის და მათთვის მიენიჭებინათ თვითმართველობა. მაგრამ ეს თვითმართველობა საშუალო საუკუნოების წყობილებას აღარ ჰგავს; სოფელი სრული დამოუკიდებელი ერთეული ვეღარ შეიქმნებოდა; იგი ხალხის შემადგენელ ნაწილად რჩება და ხალხისავე საკეთილდღეოდ მოქმედობს. ცალკე სოფლების დამოკიდებულობა საერთო მთავრობასთან ცალკე ხელშეკრულებაზე აღარ არის აგებული,—იგი საერთო კანონმდებლობისაგან არის შემუშავებუ-

---

რიხტერის — „თავისუფალ მოაზრეთა“—პარტია, რომელიც ხელოსნებისა, წვრილ ვაჭრებისა, ხელზე მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისგან შესდგება, თანდათან იშლება და პრაქტიკულ მოქმედებაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადადის.

საინტერესოა იმ ევოლუციის გადათვალიერება, რომელიც სოციალ-დემოკრატიის პარტიამ გაიარა და პირვანდელ, წმინდა კლასობრივ პარტიიდან სოციალისტთა სხვადასხვა ჯგუფების შემაერთებელ პარტიად გადაიქცა. 1890 წელს გალლეში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიების პირველი კრება მოხდა. ამ კრებაზე პარტიამ ხელოვნურად შეჰკრა სხვადასხვა სოციალისტური ჯგუფები, საერთო პლატფორმა მოუპოვა და შეიმუშავა საორგანიზაციო ტაქტიკა, რომელიც ცხოვრებაში მშვენიერი შემაერთებელი გამოდგა. 1900 წელს მაინცის კონგრესსზე სოციალ-დემოკრატიის სტატუტები ცოტათი კიდევ შესცვალეს და ამით მრავალი მომხრე მოიპოვეს. ერფურტის კონგრესსზე ამ პარტიამ განდევნა „ახალგაზრდათა“, ანუ „დამოუკიდებელთა“ პარტია, რომელიც პარლამენტარიზმის წინააღმდეგი იყო, და შეიმუშავა განთქმული „ერფურტის პროგრამა“. ამ პროგრამის ძალით, სოციალ-დემოკრატია, სხვათა შორის, თხოულობდა: საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას საიდუმლო კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა; კენჭი უნდა მიეცეს ყველას, ვისაც კი 20 წელი შეუსრულდება; არჩევნები კვირაუქმე დღეს უნდა მოხდეს; ხალხს რეფერენდუმის უფლება უნდა მიეცეს; პროვინციებსა და ოლქებს თვით მართველობა მიენიჭოს; მთავრობას ხალხი უნდა ირჩევდეს; მთავრობამ ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგოს; ჯარი გაუქმდეს და იმის მაგივრად სახალხო მილიცია დაარსდეს; ომისა და ზავის საქმე ხალხმა უნდა გადასწყვიტოს; ყველა საერთაშორისო საქმე სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს; უნდა გაუქმდეს ყველა კანონები, რომელიც აზრის გამოთქმის, შეკავშირებასა და კრებების გამართვას ხელს უშლის; დედაკაცსაც ყველაფერში ისეთივე უფლება უნდა მიენიჭოს, როგორც მამა-კაცსა აქვს; საყოველთაო სავალდებულო და უფასო სწავლა, უფასო დასაფლავება, წამლობა და სხვა და სხვა. ყველა ამის პარტია მთელ ხალხისთვის თხოულობს და, ცხადია, რომ ამ მოთხოვნილებას ყველა დემოკრატიც მიემხრობოდა.

ერფურტის პროგრამის შედგენის შემდეგ შესდგა ერთი ჯგუფი სოციალ-დემოკრატებისა, რომელიც პროგრამის პრინციპიალურ ნაწილის განხილვასა და პარტიულ ტაქტიკის შეცვლას თხოულობდა. ბავარელ მუშათა ბელადმა ფოლმარმა განაცხადა, დროა თავი დავანებოთ ყოველსავე არსებულის პრინციპიალურად უარყოფის ტაქტიკას და ენერგიულად შევუდგეთ მინიმუმ პროგრამის განხორციელებასაო; ამასთან, რასაკვირველია, არც ჩვენს საბოლოო მიზანს უნდა მოვაშოროთ თვალიო. ჯერ ფოლმარის განცხადებას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ მერე, როცა სოციალ-დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკაზე განუწყვეტელი იერიშები დაიწყო, საქმე გამწვავდა და პარტიაში უთანხმოება ჩამოვარდა. ახალგაზრდა პუბლიცისტმა შენკლაკმა ცხარე კამათი გაება ლიბკნეხტთან და განაცხადა, დღეის იქით მხარს ვეღარ დაუჭერთ იმ მოძღვრებას, რომელიც ამტკიცებს ხალხის თანდათან გაპროლეტარების აუცილებლობასო, და ამიტომ ეს თეორია ერფურტის პროგრამიდან ამოვშალოთო. შენკლაკს მიჰყვნენ ახალგაზრდა აკადემიკოსები—მაქს შიპპელი, ექიმი კონრად შმიდტი, ვექილი ჰაინე, ჰეესი, გერე, კვარკი, დავიდი და სხვანი; ამ ჯგუფმა მედგრად გაილაშქრა „მართლმორწმუნეთა“ წინააღმდეგ და პარტიაში გამეფებულის დოღმებისა და ტაქტიკის დანგრევას ლამობდა. ამ ჯგუფმა თავის ორგანოდ გაზეთი „სოციალისტიშე მონატსჰეფტე“ გამოაცხადა და საშინელი კამათი ასტეხა გაზეთ „ნეი ცეიტ“-თან, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მართლმორწმუნე მარქსისტების თეორეტიკოსები—კარლ კაუტსკი, ფრანც მერინგი, ზინგერი, შტატჰაგენი, ლიბკნეხტი და ბებელი, რომელიც ამ კამათის დროს განუწყვეტლივ ირყეოდა და ყოყმანობდა. ყველაზე მედგრად მარქს-ენგელსის სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრა ბერნშტეინმა, რომელიც აცხადებდა, თუმცა ჩემის მეცნიერებისა და სიცოცხლის მიზანი სოციალ-დემოკრატია არის, მაგრამ მარქსის მოძღვრების ძირითად აზრებს, მაგ., ხალხის გაპროლეტარების აუცილებლობას,—მაინც ვერ დავეთანხმებიო.

ამის შემდეგ სჯა-ბაასი და კამათი ამ საგნის შესახებ არ შეწყვეტილა. ჰანოვერისა, ლიუბეკისა და დრეზდენის კონგრესებზე ამ კამათმა უკიდურესობამდე მიაღწია და დღესაც დიდი მითქმა-მოთქმაა კაუტსკისა და ბერნშტეინის პარტიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს პრინციპიალურად ეწინააღმდეგება და ორივენი მარქსიზმის მოძღვრების ძირითად თეზისს სხვადასხვანაირად ხსნიან, ისინი მაინც ერთ პარტიას შეადგენენ და ერთმანეთს „ხალხის მტერსა“ და „რეაქციონერებს“ არ უწოდებენ. იმათ აერთებს მუშა-ხალხის საბოლოო მიზანი, რომელიც ერთად-ერთი პლატფორმაა გერმანიის სოციალისტების სხვადასხვა ჯგუფებისა და ფრაქციებისათვის. პარტიის წესდება პარტიაში შესვლას ყველას უადვილებს და ისე არ უბორკავს ხელ-ფეხს, როგორც, მაგალითად, გედის პარტია საფრანგეთში, რომელიც უკიდურეს მართლ-მორწმუნე მარქსისტებისაგან შესდგება. ჰალლესა და მაინცის კონგრესებზე შემუშავებულ წესდების ძალით, პარტიაში შესვლა შეუძლია ყველას, ვინც პროგრამის ძირითად აზრებს ეთანხმება და შეძლებისა გვარად პარტიას ეხმარება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონების სურვილმა გაიტაცა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პოლიტიკურ ბატონობის მოსაპოვებლად საჭირო იყო რეიხსტაგში უმეტესობის მოპოვება, ამის განხორციელება კი სხვადასხვა სოციალისტურ და რადიკალურ ჯგუფების დაუხმარებლად მარტო მართლმორწმუნე მარქსისტებს არ შეეძლოთ. აი, ამის გამო საჭირო იყო ისეთ პლატფორმის მოპოვება, რომელზედაც ყველა სოციალისტურ ჯგუფებს შესძლებოდათ მოთავსება, ისე კი, რომ იმათის რწმენისა და მიმართულების ძირითადი თეზისები და კანონები დაურღვეველი დარჩენიყო. 1872 წელს სოციალისტ მუშების პროგრამაში პირდაპირ იყო გამოცხადებული, რომ მუშათა პარტიის გარდა ყველა სხვა პარტიები რეაქციონერთა პარტიებიაო. 1891 წელს კი ეს ადგილი პროგრამიდან გამოაკლეს და მუშათა პარტიის ცნობილმა წარმომადგენელმაც—ვილჰელმ ლიბკნეხტმა განაცხადა, ტყუილია, ვითომ ყველა დანარჩენი პარტიები რეაქციონერთა პარტიებიაო. თვით კაუტსკიმ 1903 წლის გამარჯვების შემდეგ პარტიისთვის მეტად პრაქტიკული და პოლიტიკურად მეტად ზომიერი პროგრამა შეიმუშავა: „პარტიამ საარჩევნო უფლების ნიადაგზე საგერი პოზიცია უნდა დაიჭიროს, ხოლო სატევ ტაქტიკას უნდა დაადგეს ისეთ საკითხებში, როგორიც არის: სამუშაო დღე, შეკავშირების თავისუფლება, სამხედრო სამსახურის შემცირება, გადასახადების რეფორმა, სისხლის სამართლის კანონები, სადამოჟნო ბაჟები და სავაჭრო ხელშეკრულობა“. 1903 წლის საარჩევნო განცხადებაში, რომელზედაც სოციალ-დემოკრატთა საპრლამენტო მთელს ფრაქციას უწერია ხელი, ერთხელაც არ არის მოხსენებული კლასობრივი ბრძოლა და საარჩევნო დევიზად მოითხოვენ, რომ მოისპოს: „ეხლანდელი მილიტარიზმი; დამღუპველი სადამოჟნო და სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც მილიონ ადამიანის ძირითად ინტერესებს ეწინააღმდეგება; გადასახადების სისტემა და სადამოჟნო პოლიტიკა, რომელიც მდიდრების სასარგებლოდ ღარიბებს ღუპავს; შინაური რეაქცია, მთავრობის თვითნებობა, საპოლიციო ძალმომრეობა და საყოველთაო უუფლებობა!“ ასეთ საარჩევნო პროგრამას ადვილად მიემხრობა ყველა პროგრესიულ მიმართულებისა და სამართლიანობის მოტრფიალე—ვაჭარიცა და მუშაც, გლეხიცა და ბატონიც, მოხელეცა და წვრილი ბურჟუაც.

პარლამენტარიზმით გატაცებულ გერმანიის სოციალდემოკრატიას წინ აღუდგა მეცნიერ სოციალისტებისა და ადგილობრივ ანარქისტების ერთი ჯგუფი, რომელიც მარქსისტებს უკიჟინებდა, პოლიტიკით სოციალიზმს ვერ მიაღწევთ, პოლიტიკური ბატონობა მეცნიერულ სოციალიზმს ეწინააღმდეგებაო. 1869 წელს ლიბკნეხტმა გამოსცა ერთი ბროშურა ავგუსტ ბებელის საწინააღმდეგოდ, სადაც ჰკიცხავდა იმის თავგამოდებულ ბრძოლას პოლიტიკურ ბატონობის მოპოვებისთვის და სავსებით უარჰყოფდა პარლამენტარიზმს. მაგრამ გერმანიის მუშათა უმეტესობა თანდათან რწმუნდებოდა, რომ პარლამენტარიზმს მათთვის უდიდეს სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ვედენისა, კოპენჰაგენისა და სან-ჰალენის კონგრესებზე საკითხი ტაქტიკის შესახებ ისე გადასწყდა, რომ მუშათა დეპუტატები პარლამენტში მარტო არსებულის უარყოფით არ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ და ყოველნაირად ცდილიყვნენ მუშების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. ბოლოს ლიბკნეხტიც გატყდა და ჰალლეს კონგრესსზე განაცხადა: მას შემდეგ, რაც გერმანიის იმპერია დაარსდა, საქმის მდგომარეობა გამოიცვალა: სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება არსებობს, იქ პარლამენტარიზმი შანტაჟი და სიყალბე აღარ არისო.

მაგრამ მოწინააღმდეგე ჯგუფი,—მეცნიერულ სოციალისტთა პარტია,—არ სცხრებოდა და განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებოდა «პარლამენტარიზმის ჰაოსს, საპარლამენტო ფრაქციის ყოდდობასა, სარევოლუციო მოძრაობის შესუსტებასა და პარლამენტარისტების ცრუ იმედებსაც». ამის შესახებ დიდი შეტაკება და ცხარე კამათი ჰქონდათ ერფურტის კონგრესზე, მაგრამ პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგეთა პარტია რიცხვით სუსტი აღმოჩნდა და იძულებული გახდა გაჩუმებულიყო. ამ კონგრესზე ლიბკნეხტმა ერთხელ კიდევ გაიმეორა სოციალ-დემოკრატიის შეხედულება პარლამენტარიზმზე და სთქვა: როცა სოციალ-დემოკრატია რეიხსტაგში უმეტესობას მოიპოვებს, იგი რეიხსტაგს ისე გამოიყენებს, როგორც ახლა იმის მოწინააღმდეგენი იყენებენო. ბებელმა ლიბკნეხტს მხარი დაუჭირა და განაცხადა: მუშები ასე უსაზღვროდ იმიტომ გვენდობიან, რომ მუშათა სასარგებლოდ მიმართულ ჩვენის შრომის ნაყოფსაც ხედავენ. ერფურტის კონგრესის შემდეგ, რამდენისამე წლის განმავლობაში პარლამენტარიზმის შესახებ ლაპარაკი აღარ აღძრულა, ხოლო უკანასკნელ ხანებში ისევ დაიწყო ცხარე კამათი, მაგრამ ამ კამათს ისეთი პრინციპიალური ხასიათი კი აღარა აქვს, როგორიც წინად ჰქონია, არამედ ტაქტიკური—როგორ და რა გზით მოვიპოვოთ უმეტესობა რეიხსტაგშიო. მეცნიერ სოციალისტებისა და ადგილობრივ ანარქისტების პარტია ახლაც არსებობს, მაგრამ ეს ჯგუფი მხოლოდ თეორიულ კამათით კმაყოფილდება და სოციალ-დემოკრატიას არაფერში ხელს აღარ უშლის.

გერმანიის მუშათა პარტიის არაჩვეულებრივ ზრდას, საკვირველ მხნეობასა და მისდამი ხალხის ნდობას გერმანიის სხვა პარტიები „ეჭვით, მურითა და ტრფიალით“ შესცქერიან და თანაც ეშინიანთ სოციალურ რევოლუციისა, რომელსაც ყოველნაირად ათას ხრიკებით აძნელებენ. უკანასკნელ ხანებში—უფრო კი 1903 წლის მუშათა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ—დამოკიდებულება ამ პარტიებთან მეტად გამწვავდა და მოსალოდნელია, რომ რეაქციონერთა დასები მჭიდროდ შეკავშირდებიან და სოციალ-დემოკრატიასთან საბრძოლველადაც გავლენ, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში—ამაზე დღეს-დღეობით ლაპარაკიც არ შეიძლება.

მ. ად—ლი.

ლი: მიზნად მას აქვს სახელმწიფოს ან ერის საერთო ინტერესი და არა ცალკე სოფლების კერძო ინტერესები.

ამასთან ერთად, დემოკრატიას უნდა მოეთხოვა იმ იარაღის მოსპობა, რომელიც მთავრობის ძალას შეადგენდა,—მოეთხოვა მუდმივ ჯარების მოსპობა. მაგიერად სახალხო მილიციის მოწვევა უნდა მოეთხოვა, რომ მოსპობილიყო ერის ხელოვნური დაქსაქსვა, რამდენადაც ეს დაქსაქსვა პოლიციურ სახელმწიფოს თვითნებობაზე იყო დამყარებული და არა გამოწვეული ეკონომიურ განვითარების მიზეზით; მოქალაქეებს უფლება უნდა მიეღოთ—საერთო ინტერესების დასამყარებლად შეერთებულიყვნენ და ამნაირად ჰქონოდათ გავლენა მთავრობაზედაც. აქედან მოდის კრებების, კავშირების და შეერთების თავისუფლების მოთხოვნა.

დემოკრატიის მეორე მიზანი ის იყო, რომ ცენტრალური მთავრობა ხალხის ხელში გადასულიყო. ამ მხრივ მაგალითად ინგლისი ჰყავდა,—იქ მეფე სრულებით უღონო იყო პარლამენტის წინაშე. ასე ეგონათ, რომ ინგლისის პარლამენტის უფლებით აღჭურვილი საერო კრება ერთად-ერთი საშუალება იყო იმისთვის, რომ თანამედროვე ცენტრალისტურ სახელმწიფოს მთავარი უფლება ხალხის კონტროლობის ქვეშ დაეყენებინათ, რომ მთავრობა ხალხის მოსამსახურედ გადაქცეულიყო.

ამიტომ საპარლამენტო წესწყობილებისთვის ბრძოლა ევროპის სახელმწიფოებში ხალხის საპოლიტიკო გამოფხიზლებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ამ ბრძოლას თითქმის ყველგან წარმომადგენლობის შემოღება მოჰყვა, თუმცა მთავრობა ყველგან სცდილობდა ერთის ხელით ჩამოერთმია ხალხისთვის ის, რასაც მეორე ხელით ძალა უნებურად აწვდიდა. ოსმალეთიც ერთ ხანს ხომ შეჰპირდა ხალხს კონსტიტუციას. საზოგადოდ კონსტიტუციის შემოღება დროზე ჰკიდია ყველგან.

მაგრამ ინგლისის მაგალითი იმასაც ამტკიცებდა, რომ პარლამენტი ყოველთვის ხალხის წარმომადგენელი არ არის.

ამიტომ საჭირო შეიქმნა ბრძოლა საარჩევნო უფლების მისაპოვებლად. ამაზედ არის დამოკიდებული,—იქნება პარლამენტი იარაღად არისტოკრატიის კლასიური ბატონობისთვის, თუ ბურჟუაზიის ხელში გადავა, ან ბურჟუაზიის და პროლეტარიატის საბრძოლველ ასპარეზად გადაიქცევა.

საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება უძლიერესი საშუალებაა იმისთვის, რომ პარლამენტი ხალხის მოსამსახურედ გახადოს ადამიანმა, რომ პარლამენტი ხალხის სურვილების გამომხატველი შეიქმნეს. ეს უდიდესი საშუალებაა და არა ერთად-ერთი. აჲავე მიზანს ემსახურება წარმომადგენლობის ვადების შემცირება, არჩევნების კვირა-უქმე დღეებში მოხდენა, პროპორციონალური საარჩევნო უფლება და სხ.

ამასვე ემსახურება აგრეთვე რეფერენდუმიც და ინიციატივა, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ შვეიცარიაში. რეფერენდუმი იმას ნიშნავს, რომ ხალხს განსაკუთრებულ პირობებში უფლება ეძლევა გადასინჯოს წარმომადგენელთა რომელიმე გადაწყვეტილება; ინიციატივა იმას ნიშნავს, რომ ხალხს უფლება ეძლევა კენჭი უყარონ იმ კანონებს, რომელსაც თვითონვე წარადგენს. ზოგან რეფერენდუმი სავალდებულოც არის.

რეფერენდუმი და ინიციატივა ხალხის წარმომადგენლობას არ უარჰყოფს,—პირიქით მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. კანონების შედგენა ყველგან პარლამენტებს აქვს დავალებული. რეფერენდუმის და ინიციატივის მიზანი ის არის, რომ გაძლიერდეს ხალხის გავლენა პარლამენტზე, რომ პარლამენტი და მთავრობა ხალხზე დამოკიდებული შეიქმნას.

რუსეთი

პრესსის თავისუფლება. გაზეთ „რუსკია ვედომოსტ"-ს შინაგან საქმეთა მინისტრმა პირველი გაფრთხილება გამოუცხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ორის თვით შეჩერებულ იქმნა გაზეთი „ნოვოსტი", ხოლო ერთის თვით—„სლოვო".

გაზეთ „ბაკუ"-ში დაბეჭდილია მაქსიმ გორკის აზრი კავკასიის მოძრაობის შესახებ. ამ წერილის ბოლოში სწერია: რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, წერილს სავსებით ვერ ვბეჭდავთო.

გაზეთ „ჩერნომ. ვესტ."-ის თითქმის ყოველ ნომერში „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო" ცარიელი ადგილებია დატოვებული.

გაზეთი „იუჟნოე ობოზრენიე" ოდესის გრადონაჩალნიკმა ერთის კვირით შეაჩერა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გაზეთში პეტერბურგის გაზეთებიდან გადმობეჭდილი იყო ერთი ცნობა, რომელიც ნამდვილი არ აღმოჩნდა.

კრემენჩუგიდან იუწყებიან. „მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები ადგილობრივ ცენზურას არ ემორჩილება, რადგან პეტერბურგის ცენზურისაგან არის ნებადართული, ადგილობრივი პოლიციის მოხელე „იუჟნოე სლოვო"-ს რედაქციას ამ დეპეშების ბეჭდვის ნებას არ აძლევს (პრ. კრ.).

მინსკში დაპატიმრებულ იქმნა გაზეთ „სევ.-ზაპ. კრაი"-ს რედაქტორი, თვითონ გაზეთი შეაჩერეს, რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს და ყარაულები დაუყენეს (პრ.).

✦ სარატოვში **დააპატიმრეს მრავალი წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა**, იპოვეს ამ პარტიის სტამბა, აუარებელი პროკლამაცია და ლიტერატურა (პრ.).

✦ მთავრობამ **სამართალში მისცა ცნობილი ვექილები** ბერენშტამი, ვინავერი, რაცნევი და სხვანი იმის გამო, რომ ისინი ვექილთა კავშირს ეკუთვნიან. ამის გამო სარატოვისა და მოსკოვის ვექილთა კორპორაციებმა—რამდენიმე ასმა კაცმა, პროკურორს თხოვნა მისცეს, ჩვენც სამართალში მიგვეცით, რადგან ვექილთა კავშირში ვირიცხებითო (პ. ვ).

✦ ვარშავის სამოსწავლო ოლქის **მზრუნველმა გადასწყვიტა**, შემოდგომაზე ვარშავაში 3 სავაჟო და 2 დედათა გიმნაზიები დაჰკეტოს (ნ.).

✦ გზათა მინისტრმა ამ სამინისტროში მოსამსახურე ინჟინრებს შეუთვალა, ან **სამსახურიდან გადით**, ან ინჟინერთა კავშირიდან გამოდითო (პ.).

✦ ცარსკოე სელოს მახლობლად, სოფელ ვირაში **პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების ქარხანა**. იპოვეს 8 გატენილი და 22 გაუტენავი ყუმბარა, 100 კოლოფი ასაფეთქებელ მასალით სავსე და სხვა მასალა (პრ.).

✦ დონის-როსტოვში **პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის საწყობი**. საწყობში იყო 32 რევოლვერი, 12,000 პატრონი და მრავალი თოფი. ეს იარაღი ორი დღის შემდეგ კავკასიაში უნდა გამოეგზავნათ (პ.).

✦ მოსკოვში გაჩხრიკეს ქალაქის საბჭოს ზოგიერთი ხმოსნები, ერთ მათგანს 12 **რევოლვერი აღმოაჩნდა** (პრ.).

✦ დვინსკში ბოქაულის თანაშემწეს საველიევს **ყუმბარა ესროლეს**. ყუმბარა გასკდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. ყუმბარის მსროლელი მიიმალა (რ.).

✦ ოდესაში უცნობმა **რევოლვერი ესროლა** ველოსიპედით მიმავალ პოლიციელს. ტყვია ველოსიპედს მოხვდა. მსროლელი მიიმალა (ო. ნ).

✦ მინსკში უცნობმა **რევოლვერი ესროლა** პოლიციელს გუადოვიჩს, მძიმედ დასჭრა და მიიმალა. ექიმებს გრადოვიჩის მორჩენის იმედი არა აქვთ (ბ. ვ.).

✦ გროდნაში უცნობმა **სასიკვდილოდ დასჭრა** საპოლიციო უბნის ზედამხედველი და მიიმალა (რ.).

✦ ვარშავაში უცნობმა **სასიკვდილოდ დასჭრა** საპოლიციო უბნის ზედამხედველი ტარასკინი და მიიმალა (რ. ს.).

✦ რიგის მახლობლად უცნობებმა 15 ტყვიით მოკლეს მაზრის უფროსის თანაშემწე (რ. ვ.).

✦ დონის-როსტოვში რამდენჯერმე **ესროლეს რევოლვერი** ბოქაულის თანაშემწეს ბლიაგკოვს, მაგრამ ვერ მოარტყეს (პ.).

✦ ლოძში დაბანაკებულ ჯარის შენახვა ქალაქს დღეში 3 ათასი მანათი უჯდება. თუ ლოძში სამხედრო წესი გაგრძელდა, ქალაქს თვეში ჯარის შესანახავად 100,000 მანათი მოუნდება (რ. ვ.).

მშვიდობიანობის აღმადგენელ კომიტეტის ტფილისის ცენტრალურ ბიუროს საგანგებო კრება

გუშინ-წინ, 15 ივლ., ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა მუსულმანთა და სომეხთა შუა მშვიდობიანობის აღმადგენელ კომიტეტის ცენტრალურ ბიუროს კრება, რომელზედაც პრესსის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი. ბაქოს კომიტეტის წარმომადგენლებმა კრებას შემდეგი მოახსენეს: რადგანაც გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები, რომლებიც ხშირად ტენდენციურიც არის ხოლმე, ძალიან ცუდად მოქმედებს მდაბიო მკითხველებზე და, რადგანაც ამ გარემოებას უსათუოდ ბოლო უნდოდა მოეღოს, ბაქოს გაზეთების რედაქტორებმა გადასწყვიტეს, ერევანსა და ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ სრულებით აღარაფერი დასწერონ ხოლმეო. ბაქოს გაზეთების რედაქტორებს და ბაქოს კომიტეტს სურთ, რომ ტფილისის გაზეთებმაც ამ ამბების შესახებ აღარაფერი დაბეჭდონ და, თუ დაბეჭდავენ, ისიც ძალიან ფრთხილად და, რაც შეიძლება, იმ სახით, რომ ორ მონათესავე ერის კეთილ-განწყობილებას ხელი არ შეუშალოსო. ზოგიერთებმა საჭიროდ დაინახეს, აღენიშნათ ისეთი წერილები, სადაც ცნობები ტენდენციურად და მავნებელ ფორმით იყო გადმოცემული, მაგრამ კრებამ ერთხმად უარჰყო ეს წინადადება და დაადგინა, წარსულზე ნურარაფერს ვიტყვით, ვეცადოთ მხოლოდ, მომავალში აღარ მოხდეს ის, რაც წარსულში მოხდა და რამაც ორ მონათესავე ერში მტრობა და უსიამოვნობა ჩამოაგდოო. „ტიფლ. ლისტ." წარმომადგენელმა წინადადება მისცა კრებას, პრესსის წარმომადგენლებმა ერთმანეთში მოილაპარაკონ და საქმე ისე მოაწყონ, რომ ყველა ცნობები, რომლებიც კი ტენდენციურად იქმნება მიჩნეული, განსახილველად პრესსის წარმომადგენლების მიერ ამორჩეულ პირებს გადაეცეს ხოლმეო. წამოაყენეს ისეთი წინადადებაც, რომ საქმის კეთილად დასაბოლავებლად აუცილებლად საჭიროა გამოირკვეს ის მიზეზები, რომლებმაც ორი ერი ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტამდე მიიყვანაო. ამ მიზეზების გამორკვევას პრესსის წარმომადგენლებს ანდობდნენ, მაგრამ კრებამ განაცხადა: ამისთანა მძიმე და პასუხსაგებელ საქმეს ვერ მივანდობთ პრესსის წარმომადგენლებს, რომლებიც მთელ თავის სამუშაო დროს გაზეთს ანდომებენო. ამ საკითხის გამოსარკვევად ბევრნი მუშაობენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ძირითადს მიზეზებს გამოარკვევენო. დღეს პრესსას და მის წარმომადგენლებს მხოლოდ ის ევალებათ, რომ ამ საკითხის შესახებ ისეთისავე სიმწვავით აღარა სწერონ როგორც წინად, და ეცადნენ, ფაქტების გადაცემის დროს მეტი ობიექტივობა გამოიჩინონ. პრესსის ყველა წარმომადგენლებმა, რომლებიც კი კრებას დაესწრნენ, ამ წინადადებაზე სრული თანხმობა განაცხადეს. ამის შემდეგ კრებამ ამნაირი რეზოლიუცია შეიმუშავა:

1) ფაქტების გამოქვეყნება შეიძლება, მაგრამ მეტის სიფრთხილით; საჭირო არ არის გადაცემა ისეთის დაწვრილებითი ცნობებისა, რომლებიც მხოლოდ ტყუილ-უბრალოთ აღელვებს ხალხს და სასურველ შედეგამდე ვერ მიჰყავს;

2) ფაქტების განხილვის დროს, ყველამ ორივე ერის კეთილ-დღეობაზე უნდა იფიქროს.

3) საჭირო არ არის რაიმე საერთო დასკვნის გამოყვანა ისეთის ფაქტებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამორკვეული, რადგანაც ამისთანა დასკვნა ორსავე ერში უსათუოდ აღელვებას გამოიწვევს.

ბაქოს კომიტეტის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ზემოდ დასახელებული კომიტეტი დიდის სიხარულით მიიღებს ამნაირ რეზოლუციას.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს „ივერია"-ში.

ჩვენ, სოფ. სავანლის-უბანში (ზემო-ქართლი) მცხოვრებმა გლეხობამ მოვახდინეთ ყრილობა და დავდეთ ერთმანეთში პირობა, რომ დღეიდან მოვსპოთ ყრუ დროიდან მიღებული ჩვეულება და აღარ გადავიხადოთ 20 ივლისს დღეობა „ელიობა", რომელსაც უზომო ხარჯთან ერთად ხშირად დიდი უსიამოვნებაც მოსდევდა.

ამით ვაცნობებთ ნათესავებსა და ნაცნობებს, ნუღარ გვეწვევიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყრილობის დადგენილებით, როგორც ხარჯის გადამხდელ მასპინძელს, ისე სტუმარსაც ჯარიმად გადახდება სოფლის სასარგებლოდ 25 მანათი.

ყრილობის მონდობილობით: **ვასო ელისაშვილი, სინო რევაზიშვილი, პეპო ორთოიძე, გიორგი ორთოიძე, სოსო ციყელაშვილი, კოტე მარგელაშვილი.**

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

16 ივლისი.

სიტიაზა. 12 ივლისს დაბრუნდა მარცხენა ფრთიდან დასაზვერად გაგზავნილი პატარა რაზმი. 8 ივლისს ამ რაზმმა დაჰყვა მდინარე წინხეს გასწვრივ გენერალ კუროკის ლაშქრის შუაგული ლიძატუნამდე. იქ მტერმა ზარბაზანი დაუშინა; ამის შემდეგ რაზმმა დაზვერვა ველარ მოახერხა და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო. თან მოიყვანა 5 დაჭრილი.

ტოკიო, 14 ივლისი (რეიტერი). კატაოკა იუწყება, რომ დეკასტრის ნავთსადგურში გაგზავნილმა ესკადრამ 11 ივლისს დეკასტრში ნახა რუსთაგან მიტოვებული კანდელი. ესკადრამ განაგრძო გზა ბაზალტოვის კუნძულისაკენ, სადაც, ალექსანდროვსკის საფოსტო სადგურის მახლობლად, შენიშნა 4 ზარბაზანი, რომელსაც სროლა აუტეხა, მაგრამ ჩქარა შესწყვიტა. ქალაქში ერთი შენობა, რომელიც, ვგონებ, თოფის წამლის საწყობი უნდა იყოს, აფეთქებამ ჰაერში აიტაცა და გაანადგურა.

ნიუ იორკი, 15 ივლისი. კომურის მდივანმა რატომ ინახულა ერთი წარჩინებული კაცი და განუცხადა, კომურას რუზველტთან დარბაზობის დროს არავითარი არსებითად საყურადღებო საგანი არ აღუძრავს ზავზე მოლაპარაკების შესახებაო.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტისაგან. ნიჟეგოროდის ადმინისტრაციის მოხსენებით, 9 ივლისს ნიჟნი-ნოვგოროდში გაიფიცნენ მომუშავენი სორმოვის და სხვა ქარხნებისა. მთელი დღეს დემონსტრანტები, რომელთა შორის ადგილობრივ ერობის მოხელენიც იყვნენ, გროვდებოდნენ ქალაქის სხვადასხვა უბნებსა და მიდამოებში და სცდილობდნენ შეეჯგუფათ ხალხი და პროცესია გაემართათ, რითაც ქუჩებში მიმოსვლას აბრკოლებდნენ და ვაჭრობა-მრეწველობას აფერხებდნენ. პირველად დილით შეგროვდა სამასამდე კაცი იამსკოი ქუჩაში, თხოულობდა სავაჭროების დაკეტვას და გზასა ჰკრავდა. ამით გამოიწვიეს ვაჭრებისა და მეეტლეთა უკმაყოფილება, რომლებიც დემონსტრანტებს დაერივნენ, გაჰფანტეს და ქუჩებში მყუდროება აღადგინეს. რაკი ამრიგად დემონსტრანტები ვერას გახდნენ, შემდეგ ქალაქ გარედ შეგროვდნენ. როდესაც ექვსასამდე კაცმა მოიყარა თავი, ისინი სიმღერით ქალაქის შუგულს გაემართნენ, მაგრამ გზაზე პოლიციამ და კაზაკებმა უიარაღოდ გაფანტეს. შემდეგ ორჯერ კიდევ შეჯგუფდნენ დემონსტრანტები, ასეათას კაცზე მეტი, ხოლო კიდევ ვერას გახდნენ. ქალაქის მცხოვრებნი და მათ შორის სხვა ქარხნების მომუშავენი არ თანაუგრძნობდნენ. საღამოს, როდესაც დემონსტრანტები კვალად შეიკრიბნენ სახაზინო სასმელების საწყობს უკან, მუშათა ჯგუფმა, რომელიც არ თანაუგრძნობდა, განიზრახა დასცემოდა არეულობის ჩამდენთ და საჩივარს აცხადებდა, მუდმივ გაფიცვით უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ გვტოვებენო. ხოლო პოლიციამ მოახერხა მეორე პარტიის შეჩერება. განგებ გამოწვეულ მუშათა მოძრაობის მეთაურებმა გადასწყვიტეს განაგრძონ თვისი ტაქტიკა და წესიერების მომხრეთ მუქარით მიმართეს. მეორე დღეს, 10 ივნისს, საღამოს ხუთ საათზე დემონსტრანტები კიდევ შეგროვდნენ იმავე ადგილს და ქალაქისკენ გაემართნენ. პროცესსია მივიდა ოსტროჟსკის მოედნამდე და, თუმცა იქ მეტად აღელვებული ბრბო დახვდათ ვაჭრებისა, იჯარადრებისა, მეეტლეებისა, მუშაკისა, კალატოზებისა და სხვა, რომლებიც აშკარად ჰკიცხავდნენ მანიფესტანტებს, ისინი მაინც არ დაიშალნენ და მათგან ზოგმა ბრბოს სროლა დაუწყო და ერთი მეეტლე დასჭრა. ამან უფრო აღელვა მანიფესტაციის მოწინააღმდეგენი, რომლებიც დაერივნენ მანიფესტანტებს და გაფანტეს. საჩქაროდ მთელი მოედანი ხალხის დიდძალ ბრბოთი გაივსო და დემონსტრანტებს იჭერდა, როგორც ქუჩებსა აგრედვე ზოგიერთს სახლებშიაც, სადაც ისინი იმალებოდნენ და იქიდან ბრბოს რევოლვერებს ესროდნენ. უწესოების მომხდენნი იქვე გასჩხრიკეს და იმათ, ვისაც ხალხი იცნობდა უწესოების მოხდენისათვის წამქეზებლებად და ვისაც იარაღები აღმოაჩნდათ, სცემეს. იმავე დროს ბრბო ხმამაღლა ჰყვიროდა და ზიზღს უცხადებდა დემონსტრანტებს, როგორც გაფიცვათა მეთაურებს და მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩამყენებელთ, ასე რომ პოლიცია და კაზაკები პატარ-პატარა რაზმებად დაიყვნენ და გაიფანტნენ ქალაქის მოედნების სხვადასხვა ადგილებზე, რომ გადაერჩინათ ცემა-ტყეპისაგან დემონსტრანტები და აბობოქრებულ ბრბოსთვის ხელიდან გამოეგლიჯათ. ამან ისე გააბრაზა ბრბო, რომ ხშირად თვით პოლიციასა და ჯარებსაც ესხმებოდნენ თავს და სცდილობდნენ ძალით წაერთმიათ მათთვის უწესოების მომხდენნი და ისევ ეცემნათ. გუბერნატორი და პოლიცმეისტერი ჩაერივნენ ბრბოში და ხელიდან ჰგლეჯდნენ გააფთრებულებს, სამსხვერპლოდ გამზადებულთ. მხოლოდ დიდის მეცადინეობის შემდეგ მოახერხეს წესიერების აღდგენა და ბრბოს გაფანტვა. რამდენადაც შესაძლებელია გამორკვევა, უწესოების დროს მოკლულ იქმნა ერთი კაცი—აფთიაქის პატრონი გეინცე, ხელმძღვანელი დემონსტრანტებისა, რომელმაც პირველმა ესროლა ხალხს რევოლვერი; მძიმედ დაიჭრა 12, მათ შორის ერთი საავადმყოფოში მიყვანამდე გზაშივე გარდაიცვალა. მსუბუქად დაიჭრა 15 კაცი, რომელნიც საგუბერნიო ერობის საავადმყოფოსა და ამბულატორიაში გაჰგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. დაჭრილ დემონსტრანტებს წაართვეს 8 რევოლვერი და ერთი ფინური დანა. ცემა-ტყეპის დროს ორი კაცი, რომელთაც ადგილობრივი მთავრობა იცნობდა, როგორც რევოლუციონერ მოღვაწეებს, შევარდა მოედნის მახლობლად ერთს სახლში და იმის ფანჯრებიდან დაუწყო ბრბოს რევოლვერების სროლა; მაშინ ბრბომ ჩაამტვრია ქვებით ფანჯრები და შეცვივდა შიგ, მაგრამ იქიდან მსროლელი რევოლუციონერები მიიმალნენ იქვე მახლობლად სახალხო სახლში და ჩაძვრნენ სამზარეულოს დიდს ქვაბში. ნიჟეგოროდის ადმინისტრაციის ცნობებით, გამძვინვარებულ ხალხთან მომხდარ ამ შეტაკებისა და სისხლის ღვრის შემდეგ, მოძრაობის ხელმძღვანელებმა, ალბად, იმედი მაინც არ დაუკარგავთ და უნდოდათ გადაებირებინათ თავიანთს მხარეზე ქალაქის მუშა ხალხი და ამისთვის ყოველსავე საშუალებას ხმარობდნენ. უწესოების მესამე დღეს, 11 ივლისს, მთაზე, ნიჟეგოროდის კრემლის კედლებთან, შეგროვდა ბოროტ განზრახველთა ჯგუფი, რომელნიც, ზოგიერთის ცნობებით, სორმოვიდან ჩამოსულნი უნდა ყოფილიყვნენ, და უნდოდათ ძირს ჩამოსვლა, რომ ბაზართან როგორმე მისულიყვნენ. ეს შენიშნა მაღლობზე მდგომმა ბრბომ და ყვირილი მორთო; უყვიროდნენ პოლიციელთ,—არიქა, მოდიან და დაიჭირეთო. ამან უფრო ააშფოთა ისედაც ორის დღის შიშიანობით აღშფოთებული მუშები, რომელნიც, თუ დაიჭერდნენ უწესოების მეთაურთ, უღმერთოდ და შეუბრალებლად სცემდნენ. რამდენადაც ჯერ-ჯერობით გამოირკვა, ამ მესამე დღეს მუშებს მოუკვლათ ოთხი კაცი და მძიმედ დაუჭრიათ ცამეტი. სისხლის ღვრა შესწყდა საღამოს 10 საათზე. 12 ივლის საღამოს აგიტატორები კიდევ სცდილობდნენ თავის წადილის ასრულებას ეხლა ყურადღება მიაქციეს წყლის პირს მცხოვრებ მუშებს, რომელთაც სორმოელებმა და ოკის გაღმიდან ჩამოსულებმა კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს, მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეთო. იმათ გაგზავნილი მოჰკლეს. მაშინ სორმოელ აგიტატორებმა რევოლვერებით სროლა დაუწყეს. ცხარე შეტაკების დროს მოჰკლეს ექვსი კაცი და დასჭრეს სამი მძიმედ, ათიც მსუბუქად. წესიერება პოლიციამ და კაზაკებმა აღადგინეს უიარაღოდ. იმავე ღამეს სორმოვის სადგურობდნენ, ვიღამაც ყუმბარა შეისროლა, რომელიც გასკდა, მაგრამ მხოლოდ ბოროტ-განმზრახველი იმსხვერპლა.

კოვნო, 15 ივლისი. გლეხს დაუგშას ნება დართეს გამოსცეს კოვნოში ცენზორის ნება-რთვით ლიტვურს ენაზე გაზეთი, რომელიც კვირაში ორჯელ უნდა გამოვიდეს.

პეტერბურგი, 15 ივლისი. სამხედრო სამინისტროს გამგე გენერალ-ლეიტენანტი რედიგერი დაინიშნა სამხედრო მინისტრად; ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი კოზლოვი.

პეტერბურგი. 15 ივლისს ყოველგვარ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით და ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მუშას ალექსი ვასილიევს, რომელსაც წინად განზრახულ აზრით უბნის ზედამხედველის კვლოვინის მოკვლა ჰბრალდებოდა. ვასილიევი პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ტრეპოვმა მისცა სამხედრო სამართალში, თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე 18-მე მუხლისა.

ვაშინგტონი. იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობა 20 მილიონ გირვანქა სტერლ. (200 მილიონ მან.) მოსთხოვსო რუსეთის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ჩინეთს მოუვიდა მანჯურიაში ომის დროს.

ლონდონი, 15 ივლ. ორთავე პალატის წევრებმა საუზმეზე მიიწვიეს ვესტმინსტერ-ხოლლში საფრანგეთის ადმირლები და აფიცრები.

ლონდონი. მას შემდეგ, როდესაც საფრანგეთის ფლოტი ინგლისს ესტუმრება, ინგლისის ლამანშის ესკადრა ბალტიის ზღვაზე წავა და ეწვევა რამდენსამე გერმანიისა და სვენდინავიის ნავთსადგურს, ხოლო რუსეთის წყალს არ მიეკარება. ამ მოგზაურობას პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექმნება.

მოჯი. მანჯურიიდან მოსული აფიცერი ამბობს, რუსებს ისლუს სათავეში სამი დივიზია ეყოლებათო. ხაილუნჩენში 30,000 რუსი იქმნება, რომელთაც ექვსი დიდი ზარბაზანი აქვთო. იქიდან ჯარი ტოროკამდე არის დანაწილებული. რუსებს 20,000 მეომარი დაუყენებიათ სახჩენძის ჩრდილოეთად, ხაილუნჩესა და ტოროკოს შუა, თხუთმეტის ზარბაზნით, და 1000 კაცი რამდენისამე ზარბაზნით—ტაიპენსანის მთის ძირას.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ВЪ ЦЕНТРАЛЬНОЙ КНИЖНОЙ ТОРГОВЛѢ въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

ЭКОНОМИЧЕСКОЕ УЧЕНІЕ КАРЛА МАРКСА въ изложеніи Каутскаго. С. П. ц. 30 к. перес. 25 к.
ПРОКОПЬВИЧЪ. Длина рабочаго дня по Русскому законодательству. Р. ц. 10 к. перес. 9 к.
БЕБЕЛЬ. Положеніе женщины въ настоящемъ и будущемъ О. ц. 8 к. перес. 9 к.
НОВИКЪ. Московскіе земскіе соборы, М. ц 15 к. перес. 13 к
КИЗЕВЕТТЕРЪ. XIX вѣкъ въ исторіи Россіи. Р. ц. 15 к перес. 13 к.
БѢЛОКОНСКІЙ. Разсказы. т. Ш. Р. ц. 60 к. перес. 17 к.
ГАУПТМАНЪ. Сочиненія, т. II. Р. ц. 30 к. перес. 15 к.
РЕКЛЮ. О вегетаріанствѣ. М. ц. 10 к. перес. 2 к.
ПРУГАВИНЪ. Прошлое и настоящее Шлиссельбургской крѣпости. Р. ц. 8 к. перес. 9 к.
ЛАССАЛЬ. О сущности конституціи. Р. ц. 8 к. перес. 9 к.
ПРОКОПОВИЧЪ. Аграрный вопросъ и аграрное движеніе. Р. ц. 10 к. перес 9 к.
КАУТСКІЙ. Противорѣчія классовыхъ интересовъ въ 1789 году, Р. ц. 20 к. перес. 15 к.
СВАТИКОВЪ. Созывъ народныхъ представителей. Р. ц. 10 к. перес. 9 к.
ДИТЯТИНЪ. Роль челобитии и земскихъ соборовъ въ управленіи Московскаго государства. Р. ц. 15 к. перес. 19 к.
МАРКСЪ. Заработная плата, цѣна и прибыль. С. П. ц. 20 к. перес. 15 к.
КАУТСКІЙ. Развитіе государственнаго строя на Западѣ. С. П. ц. 6 к. перес. 9 к.
ВАЛЬЯНЪ. Кризисъ и безработица, С. П. ц. 7 к. перес. 9 к.
ЦЕТКИНА. Женжина и ея экономическое положеніе. С. П. ц. 7 к. перес. 9 к.
ПЕТРУШЕВСКІЙ. Великая хартія вольностей. Р. ц. 15 к. перес. 9 к.
Бельгійская конституція 7 февраля 1831 года. Р. ц. 7 к. перес. 9 к.
Дубровскій. Франція. Іюль 1830 года Р. ц. 7 к. перес. 9 к.
Бѣлоконскій. Самоуправленіе и земство. Р. ц. 7 к. перес. 9 к.
Кокошкинъ. Бюджетный вопросъ въ государствахъ съ представительнымъ правленіемъ Р. ц. 10 к. перес. 9 к.
Дитятинъ. Екатеринская комиссія 1767 г. Р. ц. 15 к. перес. 13 к.
Водовозовъ. Всеобщее избирательное право на западѣ. Р. ц. 8 к. перес. 9 к.
Лассаль. Принципы труда въ современномъ обществѣ. С. П. ц. 10 к. перес. 9 к.
Джаваховъ Ив. Государственный Строй древной Грузіи и древной Арменіи т. I С. П. ц. 1 р. 35 к. перес. 25 к.

Заказы иногородныхъ исполняются по полученіи денегъ. При выпискѣ нѣсколькихъ книгъ перес. съ общаго вѣса.

(1—1).

САКОМЕРЦИО КУРСЕБИ

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.